პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

29 სექტემბერი მანქანათმშენებლის დღეა

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

29 სექტემბერი კვირა 1968

ფასი 2 კაპ

გამოცემის 49-ე წელი • № 229 (14225)

ლენინის თემა ჩვენს პრესაში

PRAVDA

28 სექტემბრის მოწინავე

დღეს მკითხველები ათასობით გაზეთის ფურცლებზე ხედავენ ძვირფას და თვითეულისათვის ბავშვობიდან ნაცნობ ლენინის პროფილს. იგი მოასწავებს, რომ პრესაში გაჩნდა ახალი განყოფილებები და რუბრიკები, რომლებიც დაკავშირებულია ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის მოახლოებასთან.

მთელ ჩვენს ქვეყანაში გაიშალა უდიდესი და მრავალმხრივი მუშაობა, რომელიც სახელოვან იუბილეს უძღვის წინ. ამ მუშაობაში თვალსაჩინო ადგილი მიეკუთვნება ჩვენს პრესას, რადიოსა და ტელევიზიას. მათი ამოცანები მკაფიოდ და ნათლად განსაზღვრულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით ისტორიული თარიღისათვის მზადების შესახებ. პრესა მოწოდებულია ყოველმხრივ ასახავდეს ვ. ი. ლენინის ცხოვრებასა და რევოლუციურ მოღვაწეობას, მისი თეორიული შემკვიდრეობის სიმდიდრეს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის და მთელი კომუნისტური მოძრაობის ბრძოლას მარქსზმ-ლენინიზმის იდეების განხორციელებისათვის. ბელადის დაბადების ასი წლისთავის აღნიშვნის საუკეთესო საშუალებაა, ხაზს უსვამს პარტია, მთავარი ყურადღება მივაქციოთ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის გრანდიოზული გეგმების განხორციელებას, რომელიც დასახულია საბჭოთა ხალხის წინაშე.

პარტიული კომიტეტები უნდა ზრუნავდნენ იმისათვის, რომ ჩვენი პრესა იუბილესათვის მზადების დროს წარმატებით ახორციელებდეს კოლექტიური პროპაგანდისტის, აგიტატორისა და ორგანიზატორის როლს, რაზმავდეს ქალაქისა და სოფლის მშრომელებს სკკპ XXIII ყრილობის გადწყვეტილებათა შესრულებისათვის. ეს კი მოითხოვს დაუცხრომელ ყურნალისტურ ძიებას, აქტივობას, ცხოვრებასთან პრესის კავშირის შემდგომ განმტკიცებას.

სწორად მოიქცნენ ის რედაქციები, რომლებიც ადგენენ ლენინის იუბილესათვის მზადების კონკრეტულ გეგმებს პარტიული აქტივის, მუშა და სოფლის კორესპონდენტების, მეცნიერების, მწერლების, მთელი საზოგადოებრიობის ფართო მონაწილეობით და ცდილობენ თავიანთი შემოქმედებითი ჩანაფიქრის რეალიზაციაში ჩაებან რაც შეიძლება მეტი ადამიანი, რომლებსაც მდიდარი პარტიული და ცხოვრებისეული გამოცდილება აქვთ. ჩაებან უფრო მეტი მცოდნე და ნიჭიერი ავტორი. ასე მოქმედებენ, მაგალითად, „ლენინგრადსკაია პრავდაში", „ულიანოვსკაია პრავდაში", მთელ რიგ რესპუბლიკურ გაზეთებში. ლიპეცკის საოლქო გაზეთმა „ლენინსკოე ზნამიამ" მოწინავე სტატიაში დაწერილებით გააცნო მკითხველებს თავისი გეგმის ყველა ნაწილი, მოუწოდა მონაწილეობა მიიღონ დასახულის განხორციელებაში.

ეს ორგანიზაციული და შემოქმედებითი მუშაობა უკვე იძლევა ნაყოფს. ასრულებენ რა რედაქციათა თხოვნას, საზოგადოებრივი კორესპონდენტები გაზეთებს აწვდიან ცნობებს უწინარეს ყოვლისა იმის შესახებ, თუ რა სიახლე გაჩნდა მათს შრომითს კოლექტივებში ღირსშესანიშნავი თარიღის მოახლოებასთან დაკავშირებით. გაზეთები დაწვრილებით აღწერენ, თუ როგორ მიმდინარეობს მზადება ლენინის იუბილესათვის სამრეწველო საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებში, სამეცნიერო და კულტურულ დაწესებულებებში, უჩვენებენ ილიჩის დაბადების ასი წლისთავის ღირსიეული შეხვედრისათვის გაშლილი საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრების ახალ აღმავლობას.

შრომითი მამაცობის, შემოქმედებითი ინიციატივისა და ნოვატორული საზრიანობის შესანიშნავი მაგალითებით აღინიშნება მახობრივი შეჯიბრება მოსკოვსა და ლენინგრადში, კიევსა და სვერდლოვსკში, გორკსა და ტაშკენტში, ცენტრალური შავნიადაგიანი რაიონებისა და ორენბურგის მხარის მინდვრებში, ყაზახეთის გატეხილ ყამირზე. ბევრი ადგილობრივი გაზეთი ამის შესახებ წერს საინტერესოდ, მრავალფეროვნად, წარმოების განვითარების ეკონომიურ პრობლემათა საფუძვლიანი ცოდნით. შრომის პათოსის ჩვენებას ცისფერ ეკრანზე ეძღვნება სსრ კავშირის ცენტრალური ტელევიზიის სასოფლო რეპორტაჟების სერიის გადაცემები. პრესის უპირველესი მოვალეობაა საქმიანად და ყურადღებით შეისწავლოს გაშლილი შეჯიბრების ღრმა პროცესები, დაეხმაროს პარტიულ ორგანიზაციებს მათს ხელმძღვანელობაში, დროზე დაუჭიროს მხარი ახლის ყლორტებს, გაავრცელოს მოწინავე გამოცდილება.

გაზეთებისა და ჟურნალების გეგმებით, რადიოსა და ტელევიზიის პროგრამებით გათვალისწინებულია პროპაგანდისტული გამოსვლები ლენინის ფასდაუდებელი იდეური მემკვიდრეობის — ახალი საზოგადოების მშენებლობაში ჩვენი საიმედო იარაღის შესახებ. ყოველ ასეთ მასალას უნდა ახასათებდეს თეორიისა და კომუნიზმისათვის ბრძოლის პრაქტიკის მჭიდრო კავშირის ფართო და დამჯერებელი გაშუქება, ილიჩის ანდერძის შესრულება. განსაკუთრებით საჭიროა მკითხველის წინაშე გავაშუქოთ ლენინის დიდი მოძღვრების ინტერნაციონალური მნიშვნელობა, მისი გარდამქმნელი როლი თანამედროვე მსოფლიოში, ვუჩვენოთ ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკა როგორც ლენინური იდეების განსახიერება, როგორც ლენინიზმი მოქმედებაში.

ბევრი გაზეთი მკითხველთან ერთად ეწევა საგულდაგულო და ნაყოფიერ კვლევითს მუშაობას, ავსებს ილიჩზე მოგონებებთა ტომებს, სწავლობს ლენინის დოკუმენტთა ბედს. და აი ლენინის ერთი სტრიქონის მიღმა გაზეთის გვერდზე წარმოგვიდგება ჩვენი პარტიისა და ხალხის ისტორიული მიღწევები, ილიჩის იდეებს, მუშაობის ლენინური სტილის, ხელმძღვანელობის ლენინური მეთოდების ცოცხალი განსახიერება. როცა გაზეთებში ასეთ მასალებს კითხულობ, ერთხელ კიდევ რწმუნდები, რომ ლენინის სიტყვა ჭეშმარიტად არის „ადამიანის ძალის მხედართმთავარი", რომ მისი ნაშრომების თვითეული სტრიქონი დღესაც პრაქტიკული მუშაობის სახელმძღვანელოა.

რევოლუციის ბელადის უკვდავ სახელში ხორცშესხმული ურღვევი კავშირი მასებთან, გულისხმიერება და ყურადღება ადამიანებისადმი, თავმდაბლობა და როგორც საკუთარი თავისადმი, ისე სხვებისადმი მომთხოვნელობა. პრესაში იბეჭდება ჩვენი თანამედროვეების მოთხრობები და ლექსები, რომელთა ავტორები ცდილობენ მხატვრული სიტყვებით შექმნან „ყველაზე ადამიანური ადამიანის" სახე. მოლდაველი პოეტების ლექსები ლენინზე გამოაქვეყნა „სოვეტსკაია მოლდავიამ", რესპუბლიკურმა გაზეთმა „პრავდა ვოსტოკამ", უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა პარტიის ისტორიის ინსტიტუტმა და უზბეკეთის სსრ საზოგადოება „ცოდნის" გამგეობამ გამოაცხადეს საიუბილეო კონკურსი დევიზით „ლენინი, დრო და ჩვენ". ასეთი წამოწყებები საჭირო და სასარგებლოა. მათმა ორგანიზატორებმა, რასაკვირველია, უნდა გამოიჩინონ დიდი მომთხოვნელობა ღირსეულ ნაწარმოებთა შერჩევის დროს. აქ მთელი ძალით უნდა მოქმედებდეს ლენინური წესი: „უმჯობესია ცოტა და კარგი".

პრესის მასალების, რადიოსა და ტელევიზიის გადაცემათა იდეური დონე, მასშტაბი და აქტუალობა, მათი გავლენა ლენინის იუბილესათვის მზადების მთელ მსვლელობაზე დამოკიდებულია უწინარეს ყოვლისა პრესისადმი პარტიულ ხელმძღვანელობაზე. პარტიული კომიტეტები ყურადღებით უნდა განიხილავდნენ რედაქციების ორგანიზაციულ და თემატურ გეგმებს, ეხმარებოდნენ მათ აქტივთან მუშაობაში, ახალ კვალიფიციურ ავტორთა მოზიდვაში. ძალიან საჭიროა, რომ თვით პარტიული მუშაკებიც უფრო ხშირად გამოდიოდნენ პრესაში, პროპაგანდას უწევდნენ ლენინურ იდეებს, აშუქებდნენ ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის შეჯიბრების მსვლელობასა და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გამოცდილებას, ლენინის ანდერძისადმი ერთგულებას, საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის, ბურჟუაზიული იდეოლოგიისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით მშრომელთა აღზრდის საკითხებს.

ილიჩის ნაშრომები, მისი უკვნობი სახე დაუშრეტელი წყაროა, რომელიც საბჭოთა ადამიანებს მატებს ახალ ძალებს ლენინის დიადი საქმის გამარჯვებისათვის შრომასა და ბრძოლაში. დიე დღითიდღე სულ უფრო მდიდარი და მრავალფეროვანი ხდებოდეს ჩვენი პრესის ლენინიანა!

დღესასწაულს გილოცავთ, მანქანათმშენებლებო!

27 სექტემბერს მოსკოვის კინოთეატრ „ოქტომბერში" გაიმართა მანქანათმშენებლის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება.

კრება გახსნა მანქანათმშენებლობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ **ნ. ვ. დრაგუნოვმა.**

მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ **მ. ე. რაკოვსკიმ.**

შეეხო რა ჩვენი მრეწველობის მანქანათსაშენებელი დარგების განვითარებას, მ. ე. რაკოვსკიმ თქვა, რომ ერთ დღეში ჩვენი ქვეყნის საწარმოები უშვებენ ერთნახევარჯერ მეტ მანქანებს, ვიდრე მთელი რევოლუციამდელი რუსეთი უშვებდა წელიწადში.

საბჭოთა კავშირი, რომელიც აშენებდა მცირე სიმძლავრის ტურბინებს, ახლა ქმნის 500 და 800 ათასი კილოვატი სიმძლავრის აგრეგატებს —ენერგეტიკის გიგანტებს.

აი კიდევ რამდენიმე წველობის მანქანათსაშენებელი დარგების განვითარებას, მ. ე. რაკოვსკიმ თქვა, რომ ერთ დღეში ჩვენი ქვეყნის საწარმოები უშვებენ ერთნახევარჯერ მეტ მანქანებს, ვიდრე მთელი რევოლუციამდელი რუსეთი უშვებდა წელიწადში.

საბჭოთა კავშირი, რომელიც აშენებდა მცირე სიმძლავრის ტურბინებს, ახლა ქმნის 500 და 800 ათასი კილოვატი სიმძლავრის აგრეგატებს —ენერგეტიკის გიგანტებს.

აი კიდევ რამდენიმე საინტერესო ციფრი, რომლებიც მომხსენებელმა მოიყვანა. 60 წლის წინათ რუსეთში იყო 75 ათასი ლითონსაჭრელი ჩარხი. ახლა სსრ კავშირშია სამ მილიონზე მეტი ჩარხი.

საზეიმო კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს მისასამღერელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი.

(საკდესი).

ლენინურ შრომითს ვაჯტფზე

სკკპ ცენტრალური კომიტეტი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ მრეწველობის საწარმოთა, ტრანსპორტის, მშენებლობების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ბევრი კოლექტივის ინიციატივით ფართოდ ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება დიადი თარიღის — ჩვენი ბელადისა და მასწავლებლის დაბადების მე-100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებისათვის, რაც გამოხატავს უსაზღვრო სიყვარულს ლენინისადმი და მასების აქტივობას მისი ანდერძის შესრულებისათვის ბრძოლაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან — „ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადების შესახებ".

მანქანები—სოფელს

თბილისი. ყოველწლიურად იზრდება ქარხანა „თბილსოფლმანქანის" პროდუქციის გამოშვება. მოწინავეთა გამოცდილების ათვისებითა და ტექნიკური პრაქტიკის დანერგვით ქარხნის კოლექტივმა შესანიშნავ წარმატებებს მიაღწია უკანასკნელ ხუთწლედში.

მიმდინარე წელს ქარხანაში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისა და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის. თბილისელი მანქანათმშენებლები ბევრი კარგის წამომწყებნი და გამგრძელებელნი არიან. ისინი ერთ-ერთი პირველნი გაეცნენ სარატოვის საწარმოთა გამოცდილებას, რომელიც ითვალისწინებს პროდუქციის ხარისხის ამაღლებას და მისი პირველი წარმოდგენისთანავე ჩაბარებას. თბილისელმა მანქანათმშენებლებმა, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისათვის საჭირო მანქანა-იარაღებს უგზავნიან ჩვენი რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკების საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებს, სარატოველთა გამოცდილება წარმოებაში შემოქმედებითად დანერგეს. ამის ნათელი დადასტურებაა ის ფაქტი, რომ მიმდინარე წელს არც ერთი რეკლამაციაა არ მიუღიათ, მათი პროდუქცია უმაღლესს ხარისხისა.

ქარხანაში ყოველთვის ცდილობენ, რაც შეიძლება გააგრძელონ მანქანების სამსახურის ვადა. ამისათვის აქ შემუშავებული აქვთ ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა სისტემა. საწარმოს თვითეულ მუშაკს გეგმით აქვს გათვალისწინებული საკუთარ პრაქტიკაში განახორციელოს პროდუქციის უდაფექტოდ დამზადების სისტემა. ამიტომ პროდუქცია ყოველთვის უდაფექტოდ, პირველი წარდგენისთანავე ბარდება ტექნიკური კონტროლის განყოფილებას. თვითეული მუშაკი ცდილობს გააფართოოს კულტივატორებისა და სხვა აგრეგატების ასორტიმენტი, გაადიდოს მათი ხმარების ვადა.

ყოველივე ეს, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებასთან ერთად, ზრდის პროდუქციის რაოდენობასაც. მიმდინარე წლის 8 თვეში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით თბილისელმა მანქანათმშენებლებმა 11 პროცენტით გაზარდეს საკუთარი პროდუქციის გამოშვება, ბევრი ახალი მისაბარი შემმატა მათს მომხმარებლებსა სიას.

მანქანათმშენებლის დღეს წარმატებით შეხვდა ქარხანა „თბილსოფლმანქანის" კოლექტივი. აქ 108 პროცენტით შესრულდა ხუთწლედის მესამე წლის რვა თვის დავალება. ამასთან საგრძნობლად შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება, იგი გეგმით გათვალისწინებულზე 4,5 პროცენტით ნაკლებია, მოგებამ 140 ათას მანეთს გადააჭარბა.

ქარხნის ბევრმა მუშამ დიდად გაუსწრო დროს. ზოგიერთმა მათგანმა კარგახანია იზეიმა ოქტომბრის რევოლუციის 51-ე წლისთავი. ისინი ოქტომბრის პირველ ნახევარში უკვე წლიური გეგმის შესრულებას უპატაკებენ სამშობლოს. ქარხანაში მათი სახელები ყველასათვის კარგად არის ცნობილი. ესენი არიან: ხარატი გ. სახელმფვილი, ამწყობი ი. სერეზნანი, ზეინკალი ბ. თვაური და ბევრი სხვ.

ხუთწლედი — ვადამდე, ღირსეული შეხვედრა დიად თარიღებს — ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავსა და საბჭოთა საქართველოს 50 წლის იუბილეს! ამ დევიზით შრომობს დღეს ქარხანა „თბილსოფლმანქანის" კოლექტივი.

ახალი ტექნოლოგიით

ბათუმი, მოსკოვკა - დასავლეთ ციმბირის რკინიგზის დეპოს გამოცდილების შესაბამისად, ბათუმელმა მევაგონეებმა დაიწყეს ცისტერნების რემონტი მოწინავე ტექნოლოგიით. ამისათვის განხორციელდა დეპოს რეკონსტრუქციის დიდი სამუშაოები. ბათუმელმა მევაგონეებმა დაამონტაჟეს სარეცხი მანქანა, ნაკადური ხაზები, ბუქსსახსნელი, ტელეფირმის მართვის პულტი და სხვა მექანიზმები. ახლა სარემონტო პროცესების უმრავლესობა ავტომატიზებულია.

რემონტის ახალი მეთოდი, რომელსაც „მოსკოვკური" უწოდეს, მნიშვნელოვანი ნაბიჯია ტექნიკური პროგრესის გზაზე, რომელსაც საფუძვლად უდევს შრომის მეცნიერული ორგანიზაცია. იგი ადიდებს პროდუქციის გამოშვებას, ამცირებს სამუშაოთა თვითღირებულებას. ზეინკლები კ. ვაჭარაძე, კ. კვერნაძე, მ. სანაძე, ელექტრომონტიორები ა. კოლესნიკოვი, ა. პატარაია, ელექტროშემდუღებლები გ. მაჭარაძე, ვ. ანდრეიაშჩენკო, ხარატი ი. ლიამჩევი და სხვა მოწინავენი განაგრძობენ გასაწყობ სამუშაოებს.

მოსკოველთა მეთოდის წარმატებით ათვისება ბათუმის სავაგონო დეპოს კოლექტივის შრომითი საჩუქარი იქნება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის. (საკდესი).

მოსკოვის მრეწველობამ ვადამდე შეასრულა ცხრა თვის გეგმა

მოსკოვის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება 1970 წლის 7 ნოემბერს ხუთწლიანი გეგმის დავალებათა შესრულებისათვის, ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის და ვადამდე, 25 სექტემბერს შეასრულეს რეალიზებული პროდუქციის მოცულობისა და მეტი წილი უმნიშვნელოვანესი ნაწარმის გამოშვების 1968 წლის ცხრა თვის გეგმა.

თვის დამლევამდე გეგმის გადამეტებით მოსკოვის სამრეწველო საწარმოები გამოუშვებენ დიდძალ ფოლადს, ნაგლინს, პრეციზიულ ჩარხებს, ხელსაწყოებსა და ავტომატიზაციის საშუალებებს, ტექნოლოგიურ მოწყობილობას მრეწველობის სხვადასხვა დარგისათვის. სინთეზურ ფისებსა და პლასტმასებს, ქსოვილებს, ტყავის ფეხსაცმელს, ტრიკოტაჟსა და სხვა ნაწარმს.

პროდუქციის მოცულობის მთელი მატება მიღებულია შრომის ნაყოფიერების ზრდის შედეგად.

საკავშირო პროფსაბჭოს სამდივნოში

საკავშირო პროფსაბჭოს სამდივნომ რეკომენდაცია მისცა პროფკავშირთა საბჭოებსა და კომიტეტებს დახმარება გაუწიონ კომკავშირულ ორგანიზაციებს „სრულიად საკავშირო ალკა 50 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო დღესასწაულთა კვირეულის" მომზადებასა და მოწყობაში (კვირეული გაიმართება 24-29 ოქტომბერს).

პროფკავშირთა საბჭოებსა და კომიტეტებს ნება დაერთოთ ამ პერიოდში იჯარის ქირის გადაუხდელად მისცენ კომკავშირის კომიტეტებს პროფკავშირთა კლუბები, კულტურის სახლები და სასახლეები, სტადიონები და სხვა სპორტული ნაგებობანი. (საკდესის კორ.).

სრულიად საკავშირო კონკურსები

მოსკოვი. ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად სსრ კავშირის კულტურის სამინისტრომ და სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის სამდივნომ გამოაცხადეს ახალგაზრდა მუსიკოსთა სრულიად საკავშირო კონკურსი საუკეთესო საკონცერტო პროგრამისათვის.

კონკურსი მოეწყობა ორ ტურად. პირველი — რესპუბლიკური, შესარჩევი, მეორე — სრულიად საკავშირო, რომელიც 1970 წლის 31 მარტს დამთავრდება. გამარჯვებულებს, რომლებიც პირველ და მეორე პრემიებს მოიპოვებენ, ეძლევათ უფლება მოაწყონ საკონცერტო მოგზაურობა ჩვენს კვეყანაში და გრამფირფიტებზე ჩაწერონ თავიანთი ნაწარმოებები.

დიდი თარიღისათვის სსრ კავშირის კულტურის სამინისტრომ გადაწყვიტა სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირთან ერთად მოაწყოს აგრეთვე ახალი საზეიმო საკონცერტო პროგრამების სრულიად საკავშირო დათვალიერება. ეს პროგრამები შეიძლება იყოს თემატური, სიუჟეტური, თეატრალიზებული. პროგრამის სულ ცოტა ნახევარზე მეტს უნდა შეადგენდეს საბჭოთა ავტორების ნაწარმოებთა მიხედვით დადგმული ახალი, პირველად ნაჩვენები ნომრები.

(საკდესის კორ.).

საკავშირო კავშირ-ჩეხოსლოვაკიის კონტრაქტი

მოსკოვი, 27 სექტემბერი. (საკდესის კორ.). სრულიად საკავშირო გაერთიანება „გემომპორტმა" ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის ორგანიზაცია „შენენეკსპორტთან" ხელი მოაწერა კონტრაქტს იმის შესახებ, რომ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკა 1969 წელს საბჭოთა კავშირს გამოუგზავნის თხუთმეტ ტბილისა და სამდინარო სატვირთო თბომავალს, რომელთა თითოეულის ტვირთამ წ ე ო ბ ა ა 2.700 ტონა.

იუნესკოს საერთაშორისო კონფერენცია ღუშანბეში

ღუშანბე, 27 სექტემბერი. (ტასიკდესი). დღეს აქ გაიხსნა იუნესკოს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ცენტრალური აზიის ხალხთა ცივილიზაციების შესწავლის საკითხებზე.

მეცნიერები მონაწილეობას მიიღებენ დისკუსიაში ამ ბოლო წლების კვლევის შედეგების გამო. კონფერენციის პროგრამაშია 80 მოხსენება და მეცნიერული ინფორმაცია.

საბჭოთა და უცხოელი მკვლევარები მქუხარე ტაშით შეხვდნენ მისალმებას, რომელიც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა გამოუგზავნა კონფერენციას.

პირველ სხდომაზე მოხსენება „ქუშანის ეპოქა და მსოფლიო ცივილიზაცია" გააკეთა აზიის ხალხთა ინსტიტუტის დირექტორმა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ბ. გ. გაფუროვმა.

დამთავრდა რუსეთის მხატვართა ყრილობა

28 სექტემბერს მოსკოვში კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში მუშაობა დაამთავრა რუსეთის სსრ მხატვართა მეორე ყრილობამ. მისმა დელეგატებმა აირჩიეს კავშირის გამგეობა და სარევიზიო კომისია.

იმავე დღეს გაიმართა გამგეობის პლენუმი, რომელმაც გამგეობის თავმჯდომარედ ერთხმად აირჩია რუსეთის სსრ ხელოვნების დამსახურებული, მოღვაწე ფერმწერი გ. მ. კორეევი. (საკდესი).

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული კრების საგარეო საქმეთა კომისიის სხდომა

ПРАЖА, 28 სექტემბერი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული კრების საგარეო საქმეთა კომისიამ თავისი გუშინდელი სხდომა მიუძღვნა მიუნხენის შეთანხმების ხელმოწერის 30 წლისთავს. ეს შეთანხმება ისტორიაში შევიდა როგორც ჩეხი და სლოვაკი ხალხების ინტერესთა სამარცხვინო ღალატის აქტი.

ამ წლისთავის შესახებ კომისიის სხდომაზე მოხსენება გააკეთა ეროვნული კრების თავმჯდომარის მოადგილემ ა. ჟიაკმა. მიუნხენის შეთანხმება, განაცხადა მან, არა მარტო ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფოს მთლიანობის, დამოუკიდებლობის დარღვევა იყო, არამედ აგრეთვე იგი გახდა მეორე მსოფლიო ომის პრელუდია.

მიუნხენის შეთანხმება და მისი სუნისკვეთება, ხაზი გაუსვა ა. ჟიაკმა, დღესაც, 30 წლის შემდეგ, მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის ევროპისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობას. სახელმწიფოთა უმრავლესობამ დაგმო მიუნხენი, იმთავითვე უკანონოდ გამოაცხადა მიუნხენის შეთანხმება.

მაგრამ დღემდე ასეთი რამ არ განუცხადებია გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას.

ასლანდელი ვითარება, ხაზი გაუსვა მომხსენებელმა, ძირეულად განსხვავდება იმ ვითარებისაგან, რომელიც 30 წლის წინათ იყო. ჩეხოსლოვაკია გახდა სოციალისტური თანამეგობრობისა და ვარშავის ხელშეკრულების წევრი.

საგარეო საქმეთა კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომელშიც ხაზგასმულია, რომ „საბჭოთა კავშირი იყო ერთადერთი სახელმწიფო, რომელიც არასოდეს არ ცნობდა მიუნხენის შეთანხმებას და მზად იყო შეესრულებინა თავისი სამოკავშირეო ვალდებულებანი".

მოკავშირეთა გამარჯვების, საბჭოთა არმიის მიერ ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლებისა და ჩეხი და სლოვაკი ხალხის წინააღმდეგობის მოძრაობის შედეგად 1945 წელს ჩეხოსლოვაკიამ კვლავ აღადგინა თავისი პირვანდელი საზღვრები, ნათქვამია შემდეგ გადაწყვეტილებაში.

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას არ სურს ცნოს მეორე მსოფლიო ომის შედეგები, მოლიანად გამქიჯნოს მიუნხენის შეთანხმებას და იმთავითვე უკანონოდ გამოაცხადოს იგი.

ჩეხოსლოვაკიასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის დღემდე არსებობს მთელი რიგი გადაუჭრელი საკითხები, აღნიშნულია გადაწყვეტილებაში. ჩეხოსლოვაკიელი ხალხი დარწმუნებულია, რომ ამ საკითხების გადაჭრა შეიძლება მხოლოდ პატიოსანი და გონივრული მოლაპარაკების გზით კეთილი ნების საფუძველზე. მაგრამ კეთილი ნების პრინციპი მოითხოვს, რომ გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ უწინარეს ყოვლისა აშკარად და საჯაროდ აღიაროს, რომ იმთავითვე უკანონო იყო მიუნხენის შეთანხმება და აქედან გამომდინარე ყველა შედეგი, აგრეთვე აღკვეთოს ყველა რევანშისტული მისწრაფება.

კველი კურსით

პარიზი, 28 სექტემბერი. (საკდესი). პორტუგალიის მინისტრთა საბჭოს ახალმა თავმჯდომარემ მარსელო კაეტანომ განაცხადა, რომ არ შეცვლის საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს.

კაეტანომ წარმოთქვა სიტყვა, რომელიც გადაიცა რადიოთი და ტელევიზიით, მას შემდეგ, რაც მთავრობის ყველა წევრთან ერთად დადო ფიცი.

საქართველოს სსრ

1-ლ ოქტომბერს იწყება სასწავლო წელი პოლიტიკური განათლების ქსელში

ლენინის მეშეკვიდრეობის ღრმად შესწავლის წელი

პარტიული განათლების ქსელში სასწავლო წლის დაწყებისადმი მიძღვნილი თათბირი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

◆

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტში გაიმართა თათბირი პარტიული განათლების ქსელში ახალი სასწავლო წლის დაწყებისათვის რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების მზადყოფნის საკითხზე.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის საოლქო კომიტეტების მდივნები, პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების პირველი მდივნები, პოლიტსკოლებისა და სემინარების ხელმძღვანელები, პროპაგანდისტები, უმაღლესი სასწავლებლების საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების გამგეები, პრესის პასუხისმგებელი მუშაკები, რესპუბლიკის შემოქმედებითი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

თათბირის პრეზიდიუმში იყვნენ ამხანაგები ვ. მჟავანაძე, დ. სბურუა, რ. ფაღუიძე, შ. ბანუშვილი, ო. ლოლაშვილი.

თათბირი გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. მჟავანაძემ.

მოხსენება „რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები პარტიული განათლების ქსელში ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით“ გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა დ. სბურუამ.

სკკპ XXIII ყრილობამ, აღნიშნა მომხსენებელმა, განსაზღვრა თანამედროვე ეტაპზე იდეოლოგიური მუშაობის მთავარი მიმართულებანი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1964 წლის ოქტომბრისა და მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებებმა უაღრესად ხელშემწყობი პირობები შექმნეს პარტიული პროპაგანდის, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის, ჩვენი ქვეყნის მთელი სულიერი ცხოვრების ახალ საფეხურზე აყვანისათვის. დღეს უფრო, ვიდრე ოდესმე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კადრების იდეურ წრთობას, მშრომელთა კომუნისტურ აღზრდას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1968 წლის აპრილის პლენუმმა ფრიად სერიოზული ყურადღება მიაქცია იმას, რომ საერო ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლის მკვეთრად გაძლიერება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელიც მიმდინარე წლის ივნისში გაიმართა, თქვა შემდეგ ამბ. სტურუამ, განიხილა სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით კომუნისტთა და უპარტიოთა მარქსისტულ-ლენინური განათლების მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა საკითხი. იდეოლოგიური მუშაობის სხვა რგოლებს შორის პლენუმმა გამოჰყო კომუნისტების მიერ მარქსისტულ-ლენინური თეორიის შესწავლის საკითხი და ამით ხაზი გაუსვა, რომ მას განსაკუთრებული მნიშვნელობა და როლი ენიჭება იდეოლოგიურ მუშაობაში.

ახლადშენებულ რა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებს, რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვნად გააძლიერეს ყურადღება კომუნისტთა თეორიული სწავლისადმი. პირველი ორგანიზაციები უფრო ღრმად სწვდებიან პარტიული განათლების შინაარსსა და ორგანიზაციას, გაძლიერეს კონტროლი და მომთხოვნელობა კომუნისტთა სწავლისადმი.

უკვე მესამე წელია პოლიტიკური სწავლება ეწყობა ახალი სისტემით, ახლა სწავლებაში მთავარი გახდა ის, რომ კომუნისტები საფუძვლიანად დაეუფლნენ მარქსიზმ-ლენინიზმის ყველა შემადგენელ ნაწილს. ამჟამად კომუნისტთა უმრავლესობა სწავლობს პოლიტიკური ცოდნის საფუძვლებს, სკკპ ისტორიას, მარქსისტულ-ლენინურ ფილოსოფიას, პოლიტიკურ ეკონომიასა და მეცნიერული კომუნიზმის საფუძვლებს. პარტიულ სწავლებაში უზრუნველყოფილია თანმიმდევრულობა და მემკვიდრეობითობა. მკაფიოდ და მიზანდასახულად მიმდინარეობს პარტიულ-სამეურნეო აქტივის პოლიტიკური სწავლება, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მასობრივი პროპაგანდა და კომკავშირელთა და ახალგაზრდობის პოლიტიკური სწავლება. ბევრი რამ გაკეთდა პოლიტიკური განათლების სასწავლო და მეცნიერულ-მეთოდური ბაზის შექმნისათვის. შემუშავებულია პროგრამები, მეთოდური და თვალსაჩინო სახელმძღვანელოები პარტიული სწავლების ყველა რგოლისათვის, გამოვიდა პოლიტიკური ცოდნის საფუძვლების, სკკპ ისტორიის, პოლიტიკური ეკონომიის, მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის სახელმძღვანელოები დაწყებითი და საშუალო რგოლისათვის. მომდინარე სასწავლო წლის დამდეგისათვის ეს ლიტერატურა საკმაო რაოდენობით გამოვიდა ქართულ ენაზე.

ამბ. სტურუამ თქვა, რომ სულ უფრო უმჯობესდება თეორიული და მეთოდური მუშაობა პროპაგანდისტთა კადრებთან. პროპაგანდისტები არიან პარტიული, საბჭოთა და მეცნიერი მუშაკები, სახალხო მეურნეობის სპეციალისტები, სკოლების, უმაღლესი და საშუალო სასწავლებლების მასწავლებლები — სულ 16 ათასზე მეტი კაცი.

ჩვენს მუშაობაში, აღნიშნა შემდეგ მომხსენებელმა, უველაზე მთავარი, უველაზე გადამწყვეტი საკითხია პარტიულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელობა კომუნისტთა და უპარტიოთა, კომკავშირელთა და ახალგაზრდათა კოლიტიკური სწავლების სისტემისადმი. თვითეულ ორგანიზაციაში პოლიტიკური განათლების დონე საბოლოო ანგარიშით დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად კვალიფიციურად ხელმძღვანელობენ პარტიული ორგანიზაციები იდეოლოგიური საქმიანობის ამ უმნიშვნელოვანეს ნაწილს. უნდა გავზარდოთ იდეოლოგიური კადრებისადმი მომთხოვნელობა პარტიული განათლების ორგანიზაციისათვის, შინაარსისა და ეფექტიანობისათვის.

ამასთან, გაწეული მუშაობის მიუხედავად, პოლიტიკური განათლების სისტემისადმი პარტიულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელობის დონე ასამაღლებელია. ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია ზერელედ ეკიდება სკოლებისა და სემინარების მუშაობას, არ სწავლობს, არ განიხილავს პარტიული სწავლების საკითხებს ბიუროების სხდომებსა და პარტიულ კრებებზე. უნდა გვახსოვდეს, რომ პარტიულ განათლებაში არ არსებობს დიდი და პატარა საკითხები. პარტიული სწავლების ორგანიზაცია თავისი განვითარების უოველ ეტაპზე მოითხოვს შეუნელებელ ყურადღებას, დაკვირვებულ და საგულდაგულო მუშაობას.

პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან მთელი სასწავლო წლის მანძილზე ერთნაირი გულმოდგინებით ადევნებდნენ თვალყურს კომუნისტთა პოლიტიკურ განათლებას.

შეეხო რა პოლიტსკოლებისა და თეორიული სემინარების დაკომპლექტების საკითხს, ამბ. სტურუამ აღნიშნა, რომ ამ საქმეში არის ნებაყოფლობითობისა და ადამიანებისადმი ინდივიდუალური მიდგომის პრინციპის უხეში დარღვევის შემთხვევები. ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია პოლიტიკური განათლების ქსელის დაკომპლექტების დროს ადგება ნაკლები წინააღმდეგობის გზას, თავს არ იწუხებს, რომ გაესაუბროს ადამიანებს, შეეცადოს ეაარკვიოს მსმენელთა სურვილები და ინტერესები.

პარტიული სწავლების მდგომარეობის ანალიზი ცხადყოფს, რომ თუ შერჩეული არიან კარგი პროპაგანდისტები და მათ უწევენ საჭირო დახმარებას, პოლიტიკური განათლების სისტემაც ნაყოფიერად მუშაობს. პროპაგანდისტებთან მუშაობის ძირითადი ფორმაა პარტიის რაიკომებთან და საწარმოთა და დაწესებულებათა პარტიულ კომიტეტებთან არსებული სემინარები. პროპაგანდისტებისათვის ბევრი სემინარი და ლექტორიუმია შექმნილი პოლიტგანათლების რესპუბლიკურ სახლში, პარტიის რაიკომებსა და საქალაქო კომიტეტებში. მაგრამ აქედან ნაწილი მხოლოდ ფორმალურად არსებობს, რაც პროპაგანდისტთა სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს. უპირველეს ყოვლისა უნდა მოვაწყოთ პროპაგანდისტთა სწავლება, რადგან ამაზეა დამოკიდებული პარტიული განათლების სისტემის მთელი მუშაობის ხარისხი. საჭიროა, რომ პროპაგანდისტებს უფრო ხშირად უკითხავდნენ მოხსენებებს პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ხელმძღვანელები.

ამ ბოლო წლებში რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს იდეურ-აღმზრდელობით მუშაობში ხელმძღვანელი მუშაკების ჩაბმისათვის. „საოჯახმბრო კითხვაში“, რომელიც თბილისში მოეწყო დიდი ოქტომბრის 50 წლისთვის დღესასწაულის დღეებში, მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს ყველა წევრი და წევრობის კანდიდატი, მინისტრები, თვალსაჩინო მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები. ხოხუნის რაიონში მოეწყო „ლენინური საბჭოთა“, რომელებშიც აქტიურად მონაწილეობდნენ ხელმძღვანელი პარტიული, სამეურნეო, კომკავშირული მუშაკები. რუსთავის პარტორგანიზაციაში პროპაგანდისტად და სემინარის ხელმძღვანელად მუშაობს 850 ხელმძღვანელი ამხანაგი. აქტიურად მონაწილეობენ ხელმძღვანელი კადრები აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების თბილისის, ქუთაისის, გორის, მახარაძის, ფოთის, საგარეჯოს, გორის, თერჯოლის, გეგეჭკორისა და რესპუბლიკის სხვა რაიონებისა და ქალაქების პარტიულ ორგანიზაციათა იდეოლოგიურ მუშაობაში.

ამბ. სტურუამ აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ხელმძღვანელი კადრების მუშაობას პროპაგანდისტებად და თქვა, რომ კარგ მაგალითს ამ მხრივ გვაძლევს პროფესორი ი. მიქელაძე. მიუხედავად იმისა, რომ ი. მიქელაძე საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეა და უაღრესად გადატვირთულია მუშაობით, იგი ყოველთვის პოულობს დროს, რათა შეხვდეს და ესაუბროს პროპაგანდისტთა აქტივს, რეგულარულად კითხულობს საინტერესო და შინაარსიან მოხსენებებს პროპაგანდისტთა რესპუბლიკურ კურსებზე, სემინარებსა და თათბირებზე.

ხელმძღვანელი კადრების იდეურ წრთობაში დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებენ მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტები, პარტიულ-სამეურნეო აქტივის რაიონული და საქალაქო სკოლები. მაგრამ ამ უნივერსიტეტებისა და სკოლების მუშაობაში არის ნაკლოვანებანი, ფორმალიზმის ელემენტები. ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია უნივერსიტეტებში გზავნის შეუფერებელ ამხანაგებს. სუსტად მიმდინარეობს მუშაობა პროპაგანდისტთა სამუშაოზე საღამოს უნივერსიტეტების კურსდამთავრებულთა გამოყენებისათვის. ჯერ კიდევ სუსტად ვასწავლით ადამიანებს წიგნზე დამოუკიდებელ მუშაობას, ვერ ვახერხებთ მათი თვითგანათლების ორგანიზაციას. ამიტომ პარტიულ ორგანიზაციათა უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მიაღწიონ იმას, რომ ყველა კომუნისტი, განსაკუთრებით ხელმძღვანელი კადრები, ეუფლებოდნენ თეორიას პირველწყაროებით.

ახლა განსაკუთრებით საჭიროა პრაქტიკულ მუშაობაში მთავარი ყურადღება მივაქციოთ ვ. ი. ლენინის თეორიული მემკვიდრეობის შესწავლას. პარტიული პროპაგანდისათვის მომავალი ორი წელიწადი მნიშვნელოვანწილად მიეძღვნება ლენინიზმის, ლენინის იდეათა გამარჯვების პროპაგანდას, მშრომელთა აღზრდას მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის მაგალითით. ბევრმა პარტიულმა კომიტეტმა უკვე გაშალა სერიოზული იდეოლოგიური და ორგანიზაციული მუშაობა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადებასთან დაკავშირებით.

პოლიტიკური ცოდნის საფუძვლების, სკკპ ისტორიის, პოლიტეკონომიისა და ფილოსოფიის შესწავლა ისე უნდა ავაგოთ, რომ საგნის უმნიშვნელოვანეს თეორიულ დებულებათა განხილვა წარმოებდეს ლენინის ნაწარმოებთა ღრმა შესწავლის საფუძველზე. ახალი სასწავლო წლიდან უნდა გავშალოთ ლენინის თეორიული მემკვიდრეობის ფართოდ შესწავლა პარტიული განათლების უმაღლეს რგოლში. უპირველეს ყოვლისა კარგად უნდა შევისწავლოთ ლენინის ნაწარმოებები თეორიულ, პრობლემურ და მეთოდოლოგიურ სემინარებზე.

სერიოზული პრობლემებია დასახული ჩვენს წინაშე ჩვენი მეცნიერული და შემოქმედებითი ინტელიგენციის მარქსისტულ-ლენინური სწავლების ორგანიზაციის, ახალგაზრდობის პოლიტიკური განათლების ორგანიზაციის დარგში.

ბომხსენებელმა აღნიშნა, რომ კარგად გამოიჩინეს თავი წრეებმა „ჩვენი ლენინური კომკავშირი“, „ჰორიზონტი“, „საუბრები პარტიაზე“, სემინარებმა „ახალგაზრდობა და საზოგადოებრივი პროგრესი“. ამავე დროს კომკავშირელთა პოლიტიკურ სწავლებას აკლია სისტემატურობა თეორიის შესწავლაში. ახალგაზრდათა წრეები, სკოლები და სემინარები ხშირად კმაყოფილდებიან იმით, რომ მსმენელებს შერჩევით აცნობენ ამა თუ იმ პოლიტიკურ პრობლემას. ამასთან იიმეწყებენ, რომ ამ პრობლემათა ღრმა გააზრება შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიული საფუძვლების სისტემატიზებული შესწავლის ბაზაზე. როგორც ჩანს, ახალგაზრდებს შორის პროპაგანდაში უნდა გამოვნახოთ ემოციური და რაციონალური ელემენტების სწორი თანაფარდობა. ლაშქრობები, ექსკურსიები, თემატური საღამოები ახალგაზრდობის აღზრდის დიდმნიშვნელოვანი საშუალებებია. მაგრამ ისინი უნდა განვამტკიცოთ სერიოზული თეორიული სწავლებით. ეს კი ბევრ შემთხვევაში არ ხდება.

ანალიზი გაუკეთა რა პოლიტიკური განათლების სისტემაში არსებული ზოგიერთი ნაკლის მიზეზებს, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სკოლებისა და სემინარების მსმენელთა ნაწილის ცოდნის დაბალი დონე, ზოგიერთი პროპაგანდისტის სუსტი თეორიული მომზადება გამოწვეულია იმით, რომ პარტიული ორგანიზაციები საკმაო ყურადღებით არ ეკიდებიან პოლიტიკურ სწავლებას. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეს პოლიტიკური განათლების სისტემაში არსებული ჩამორჩენის ერთადერთი მიზეზი როდია. საქმე ის არის, ხაზი გაუსვა ამბ. სტურუამ, რომ საქმის ვითარება პარტიული განათლების ქსელში უშუალოდ დამოკიდებულია რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში საზოგადოებრივი დისციპლინების სწავლების დონეზე. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ცალკეული კათედრების მუშაობის დონე, აგრეთვე საზოგადოებრივ მეცნიერებათა ზოგიერთი მასწავლებლის საერთო მომზადება და კულტურა ჯერ კიდევ არ შეესაბამება ცხოვრების მოთხოვნებს.

ჩვენი ამოცანაა ძირეულად გავაუმჯობესოთ სოციალურ-ეკონომიური დისციპლინების სწავლების დონე. უნდა დავძლიოთ მედავთნეობისა და ფორმალიზმის ელემენტები საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლებაში, ვიზრუნოთ მასწავლებელთა შემადგენლობის გაუმჯობესებისათვის, მათი ცოდნის დონის ამაღლებისათვის, შევაუკაროთ მათ რევოლუციური თეორია, აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობა. საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრები მოწოდებული არიან უფრო აქტიურად მონაწილეობდნენ პარტიული განათლების სისტემის მუშაობაში, უფრო მჭიდროდ თანამშრომლობდნენ პოლიტიკური განათლების სახლებთან და კაბინეტებთან.

ამ ბოლო დროს რესპუბლიკის გაზეთებმა, ჟურნალებმა, რადიომ და ტელევიზიამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს მუშაობა იდეოლოგიური პროპაგანდის დარგში. გაიზარდა თეორიული და პოლიტიკური სტატიების ხვედრითი წონა, ეს სტატიები უფრო აქტუალური გახდა და უფრო საგულდაგულოდ და კვალიფიციურად არის მომზადებული. შემოღებულია ახალი რუბრიკები და გადაცემათა ციკლები, რომლებიც ხელს უწყობენ იმას, რომ საბჭოთა ადამიანებს ჩამოუყალიბდეს მეცნიერული მსოფლმხედველობა, კომუნისტური მორალი, რომლებიც აწრთობენ კომუნისტებსა და უპარტიოებს, ზრდიან ახალგაზრდობას პარტიისა და სამშობლოსადმი ერთგულების სულისკვეთებით. ეწყობა ლექციებისა და საუბრების ციკლები სკოლებისა და სემინარების იმ მსმენელთა დასახმარებლად, რომლებიც სწავლობენ სკკპ ისტორიას, პოლიტიკურ ეკონომიას. რესპუბლიკურმა ჟურნალებმა და გაზეთებმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს პარტიული განათლების სისტემის დასახმარებლად. ამ მუშაობას კვლავაც უნდა ვეწეოდეთ, ამასთან ვაუმჯობესებდეთ რადიო და ტელეგადაცემათა, გამოქვეყნებულ მასალათა ხარისხს.

თათბირზე გამოსულმა ორატორებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადება, რომელიც ჩვენს ქვეყანაში გაიმართა, მთელი იდეოლოგიური მუშაობის ორგანიზაციის ახალი დიდმნიშვნელოვანი ეტაპია.

ლენინური თემატიკის შესწავლაზე გადასვლასთან დაკავშირებით, თქვა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ო. ლოლაშვილმა, ქალაქის პარტიულმა ორგანიზაციებმა პროპაგანდისტულ მუშაობაში დამატებით ჩაებეს ყველაზე მომზადებული კომუნისტები, განამტკიცეს პროპაგანდისტთა სემინარების ხელმძღვანელთა შემადგენლობა. პარტიული სწავლების ახლადდადგენილ სისტემა უმთავრესად ითვალისწინებს, რომ კომუნისტები შეისწავლიან მსოფლმხედველობითს დისციპლინებს, შეისწავლიან ლენინის მემკვიდრეობას. თავიანთი თეორიული ცოდნის გაღრმავებით, ლენინის თეორიული მემკვიდრეობის შესწავლითა კომუნისტები და უპარტიოები გამოხატავენ თავიანთ უსაზღვრო სიყვარულს დიდი ბელადისადმი.

პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა მ. ხვარცაციამ და პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანმა დ. ჯიასაშვილმა მთავარი ყურადღება დაუთმეს ადამიანთა მეცნიერული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას, მათს აღზრდას სოციალისტური პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, ადამიანთა საზოგადოებრივი აქტივობისა და სოციალისტური დემოკრატიის განხორციელებაში ქმედითი მონაწილეობის სულისკვეთებით. მათ განაცხადეს, რომ აჭარისა და აფხაზეთის პარტიული ორგანიზაციები მომზადებული ხვდებიან ახალ სასწავლო წელს პარტიული განათლების სისტემაში. თითქმის ყველა პროპაგანდისტმა გაიარა მომზადება პროპაგანდისტთა კადრების საოლქო და რესპუბლიკურ კურსებსა და სემინარებზე. ორატორებმა ილაპარაკეს ხელმძღვანელი კადრებისა და ინტელიგენციის სწავლებაზე, აღნიშნეს, რომ ისინი უფრო აქტიურად უნდა ჩავებიან პროპაგანდისტულ მუშაობაში, რომ ჯერ კიდევ ნაკლები ყურადღება ეთმობა იმათ ხელმძღვანელობას, კონტროლსა და დახმარებას, ვინც დამოუკიდებლად სწავლობს მარქსიზმ-ლენინიზმს.

თათბირზე ინფორმაციები პარტიული განათლების ქსელში ახალი სასწავლო წლის დაწყებისათვის პარტიულ ორგანიზაციათა მზადყოფნის შესახებ გააკეთეს აგრეთვე პარტიის ბორჯომის რაიკომის პირველმა მდივანმა ბ. კუხიანიძემ, პარტიის წინოცლწყაროს რაიკომის პირველმა მდივანმა ა. გონაშვილმა, პარტიის ადიგენის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. მექვაბიშვილმა, პარტიის ცხაკაიას რაიკომის პირველმა მდივანმა ნ. შონიამ, პარტიის ყაზბეგის რაიკომის პირველმა მდივანმა ვ. ფირანიშვილმა. მათ აღნიშნეს, რომ საქართველოს კომუნისტები, რესპუბლიკის მშრომელები ღრმა კმაყოფილებით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებს, რომლებშიც მოცემულია თანამედროვეობის უმნიშვნელოვანეს პრობლემათა მარქსისტულ-ლენინური ანალიზი, მკაფიოდ განსაზღვრულია მშვიდობისათვის, სოციალისტური ქვეყნების შეკავშირებისათვის, მთელი რევოლუციური ძალების ერთობისათვის იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანები. ორატორებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საჭიროა მკვეთრად გავაძლიეროთ ბრძოლა ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ, ვამხილოთ მისი კლასობრივი, ანტისოციალისტური არსი. სწორად უნდა გამოვიყენოთ იდეოლოგიური მუშაობის მთელი დიდი არსენალი საბჭოთა ადამიანების კომუნისტური რწმენის განმტკიცებისათვის. ბურჟუაზიული, იმპერიალისტური პროპაგანდისა და იდეოლოგიის უნარიანად მხილება ოიელი საქმე როდია, იგი მოითხოვს სერიოზულ მომზადებას, ცოდნას, გამოცდილებას. ამასთან დაკავშირებით პარტიული განათლების სისტემაში მაღალ იდეურ-თეორიულ დონეზე უნდა გავუწიოთ პროპაგანდა საბჭოთა სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების უპირატესობებს, უელმობლად ვიბრძოლოთ ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ.

თათბირის მონაწილეებმა ინტერესით მოუსმინეს თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის პროპაგანდისტ ვ. ჩლაიძეს. მან თქვა, რომ ამ ბოლო დროს დიდი ყურადღება ექცევა პროპაგანდისტთა კადრებს, მათს იდეურ-თეორიულ შეიარაღებასა და მეთოდური ოსტატობის სრულყოფას. ჩვენ, პროპაგანდისტებს, თქვა მან, გვეკისრება დიდი და პასუხსაგები ამოცანა — იდეურად აღვზარდოთ და ჩამოვაყალიბოთ ახალი ადამიანი — კომუნისტური საზოგადოების მშენებელი. მაგრამ სხვას რომ ავსწავლო, თვითონაც ბევრი და ბეჯითად უნდა ისწავლო. თვითეული პროპაგანდისტი საფუძვლიანად უნდა სწავლობდეს ვ. ი. ლენინის შრომებს, აგრეთვე ჩვენი პარტიის გადაწყვეტილებებს. ეს გვეხმარება, რომ უკეთ გავაცნოთ მასებს მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება, ჩავუნერგოთ კომუნისტური რწმენა. სწავლა ხომ ხელს უწყობს აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებას, შრომის დისციპლინის განმტკიცებას.

თათბირზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. მჟავანაძემ.

(საქდესი).

ინდუსტრიალიზაციის საფუძველი

ნ. გომელაური,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

◆

ᲓᲦᲔᲡ ჩვენი რესპუბლიკის მანქანათმშენებლობისა და ელექტროტექნიკური მრეწველობის მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები ჩვენი ქვეყნის ყველა მანქანათმშენებელთან ერთად მესამეჯერ აღნიშნავენ თავიანთ დღესასწაულს — მანქანათმშენებლის დღეს.

მანქანათმშენებლის დღის აღნიშვნა მანქანათმშენებელთა მრავალათასიანი არმიის დიდი პატივისცემაა; სახალხო აღიარებაა იმ უდიდესი როლისა, რასაც ისინი ასრულებენ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნასა და სახალხო მეურნეობის წამყვანი დარგების ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში.

ამ დღესასწაულს მიმდინარე წელს საბჭოთა ხალხი აღნიშნავს უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის, სკკპ XXIII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლისა და საბჭოთა სახელმწიფოს ფუძემდებლის ვლადიმერ ილიჩის ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის საყოველთაო-სახალხო მზადების ვითარებაში.

გასულ წელს ჩვენმა ქვეყანამ მთელი მსოფლიოს პროგრესულ ადამიანებთან ერთად იზეიმა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის ღირსშესანიშნავი დღესასწაული. ამ წლების მანძილზე ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მრავალი შესანიშნავი გამარჯვება მოიპოვეს, ერთ-ერთი ასეთი გამარჯვება იყო სამამულო მანქანათმშენებლობის შექმნა.

მოკლე ისტორიულ ვადაში აღორძინდა მისი ყველა თანამედროვე დარგი, აშენდა ათასობით ახალი, პირველხარისხოვანი მანქანათმშენებლო ქარხნები, აღიზარდა კვალიფიციურ მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა მრავალრიცხოვანი კადრები. წლითიწლობით განუხრელად ფართოვდებოდა მანქანათმშენებლობის პროდუქციის ნომენკლატურა და სწრაფად იზრდებოდა მისი გამოშვება; მანქანათმშენებლობის პროდუქციის წარმოების მხრივ საბჭოთა კავშირი ჯერ კიდევ სამამულო ომამდე პირველ ადგილზე გამოვიდა ევროპაში და მეორეზე მსოფლიოში.

ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიის ყველა მუშის ერთ მესამედზე მეტი დასაქმებულია მანქანათმშენებლო და ლითონდამამუშავებელ საწარმოებში. ჩვენი მრეწველობის, ტრანსპორტის, მშენებლობისა და სოფლის მეურნეობის ხელახალ ტექნიკურ აღჭურვაში მოპოვებული უდიდესი წარმატებანი, განუყოფლად დაკავშირებულია მანქანათმშენებლობის განვითარებასთან. საყოველთაოდ ცნობილია, რომ სამამულო მანქანათმშენებლობამ ჩვენს ქვეყანას მოუპოვა პრიორიტეტი კოსმოსის ათვისებისა და თანამედროვე ხელსაწყოებისა და მოწყობილობათა შექმნის დარგში. ჩვენს ქვეყანაში უშვებენ მსოფლიოში ყველაზე მძლავრ ჰიდროტურბინებსა და გენერატორებს, ყველაზე თანამედროვე თბომავლებს, ელმავლებს, ბრძმედებისა და მარტენის ღუმელების უახლეს, დიდი წარმადობის მოწყობილობას, სიგლინავ დგანებს, ქიმიური და ნავთობმრეწველობის მანქანებს.

ამ ხუთწლედში, პარტიის XXIII ყრილობის დირექტივების შესაბამისად, მანქანათმშენებლობა „დაჩქარებული ტემპით ვითარდება; სტატისტიკური მონაცემებით, თუ სამრეწველო წარმოების საერთო მატება მარტო 1968 წლის პირველ ნახევარში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით დაახლოებით 9 პროცენტს შეადგენს, მანქანათმშენებლობას ამავე პერიოდში 12 პროცენტი მატება აქვს.

საქართველოში მანქანათმშენებლობისა და ლითონდამამუშავების პროდუქციის საერთო მოცულობა 1967 წელს 1928 წელთან შედარებით 331-ჯერ გაიზარდა; ამჟამად მისი ხვედრითი წონა რესპუბლიკის სამრეწველო წარმოების მთელ მოცულობაში მნიშვნელოვნად გაიზიდა. ახალ ხუთწლედში გაფართოვდება საქართველოს მანქანათმშენებლობის პროდუქციის გადიდება 1,9-ჯერ. თბილისში აშენდება სამართი მთიმეტიკური მანქანების ქარხანა. უკანასკნელ წლებში მანქანათმშენებლობის მრეწველობის საწარმოებმა საგრძნობლად გაადიდეს საწარმოო სიმძლავრენი, გამომშვებული მანქანებისა და მოწყობილობის წარმადობა, ეკონომიურობა, საიმედოობა და ხანგაძლეობა. ახლა ბევრი ჩვენი ქარხნის მიერ გამოშვებული მანქანები და მოწყობილობა მაღალი ტექნიკური დონისა და ხარისხისაა.

ჩვენი დიადი სამშობლოს მშრომელებთან ერთად, ასრულებენ რა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისა და ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებებს, საქართველოს მანქანათმშენებლობამ წარმატებით გაანაღდეს 1968 წლის პირველი ნახევრის სახელმწიფო გეგმა.

რესპუბლიკის მანქანათმშენებლობის სიამაყეა ქუთაისის სერგო ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანა. ასრულებს რა თავის ვალდებულებებს, ამ ქარხნის კოლექტივმა 1968 წლის პირველ ნახევარში გამოუშვა ათასობით სატვირთო ავტომობილი.

თბილისის ს. მ. კიროვის სახელობის ჩარხსამშენებელო ქარხანა საქართველოს ჩარხმშენებლობის პირმშოა. ამ საწარმოს მიერ გამოშვებული პროდუქცია ფართოდ არის ცნობილი, როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ. კიროვის სახელობის ჩარხსაშენებლო ქარხნის კოლექტივი იბრძვის ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებისათვის. ქარხანამ უზრუნველყო მიმდინარე წლის პირველი ნახევრის დავალების შესრულება.

საწარმოო დავალებათა შესრულებაში სისტემატურად კარგ მაჩვენებლებს აღწევს თბილისის სერგო ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელო ქარხნის კოლექტივი. მიმდინარე წლის პირველი და მეორე კვარტალის მაჩვენებელთა მიხედვით სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული წარმატებებისათვის ქარხნის კოლექტივს მიენიჭა სსრ კავშირის მანქანათმშენებლობის სამინისტროსა და მანქანათმშენებლობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხანა რესპუბლიკის ერთ-ერთი უდიდესი საწარმოა. აქ ათითეული და უშვებენ თანამედროვე კონსტრუქციის მაგისტრალურ ელექტრომავლებს, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ სახალხო მეურნეობისათვის. ქარხნის კოლექტივმა დიდი მუშაობა გასწია წარმოების ტექნოლოგიის სრულყოფისა და ელექტრომავლების ხარისხის ამაღლებისათვის.

თბილისის ტ. ბ. ბერიას სახელობის ელექტრომექანიკური ქარხანა ერთ-ერთია ამ ბოლო დროს ინტენსიურად ფართოვდებოდ საწარმოთა შორის. ამ ქარხნის ბოლო ორი ხუთეული ფარგლებში ორ-ორ ახალ ცეხს ამატებენ ძველ ცეხებს. ამ ქარხანაში ბოლო ორ ხუთეულში ექვსჯერ ფართოვდება ელექტროძრავების, ელექტროგენერატორების, ელექტროტრანსფორმატორების, ელექტროსაწვავი ტუმბოების, ელექტროსაკვები ფაფუტკრების, ელექტროსაბურავების, ელექტროსაბურავ-ტუმბოების, ელექტროსაბურავ-ტუმბოებისა და ელექტროსაბურავ-ტუმბოებისა ელექტროსაბურავ-ტუმბოებისა ელექტროსაბურავ-ტუმბოებისა ელექტროსაბურავ-ტუმბოებისა ელექტროსაბურავ-ტუმბოებისა ელექტროსაბურავ-ტუმბოებისა ელექტროსაბურავ-ტუმბოების

სოციალური დაზღვევის დაგეგმვის ახალი პირობები

ნლიანობლობით უმჯობეს დ ე ბ ა ჩვენი ქვეყნის მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა. ამ საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო სოციალურ დაზღვევას— დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მონაპოვარს. კომუნისტურმა პარტიამ, საბჭოთა სახელმწიფომ პროფკავშირებს დაავალეს სახელმწიფო სოციალური დაზღვევის მართვა.

სახელმწიფო სოციალური დაზღვევის უზარმაზარ სახსრებს — 14 მილიარდ მანეთს პროფკავშირები 1968 წელს ახმარენ მშრომელთა დასვენებასა და უფასო სამკურნალო-პროფილაქტიკურ დახმარებას, მშრომელთა უზრუნველყოფას მოხუცებულობაში, დროებითი შრომისუუნარობის პერიოდში, შრომისუნარიანობის დაკარგვისა და ინვალიდობის დროს. სსრ კავშირის ეკონომიური ძლიერების ზრდასთან ერთად განუწყვეტლივ ვითარდება სახელმწიფო სოციალური დაზღვევა და ამით მაღლდება საბჭოთა ხალხის ცხოვრების დონე.

„სახელმწიფო სოციალური დაზღვევისა და ამ მიზნით გამოყოფილი სახსრების გამოყენებისათვის მუშაობის ორგანიზაციის გაუმჯობესების შესახებ“ დადგენილებას, რომელიც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, ამას წინათ მიიღო, დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო სოციალური დაზღვევის მთელი მუშაობის გაუმჯობესებისათვის. დადგენილებით დასახული დონისძიებანი ძალაში შედის 1969 წლის 1 იანვრიდან.

საქდესის კორესპონდენტმა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარეს, საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის წევრს შ. ბიძნაძეს სთხოვა განემარტა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება და ის, თუ რა მნიშვნელობა აქვს მას ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებისათვის.

— რაცა ვეხებით სახელმწიფო სოციალური დაზღვევის როლს მშრომელთა ცხოვრებაში, — თქვა შ. კიკნაძემ, — საჭიროა გავიხსენოთ ლენინური დებულება იმის შესახებ, რომ სოციალური დაზღვევა უნდა ემყარებოდეს დაზღვეულთა თვითმმართველობას. ეს დებულება მთლიანად განხორციელდა ჩვენს ქვეყანაში. სახელმწიფო სოციალური დაზღვევის დიდძალი სახსრების სწორი ხარჯვისათვის ზრუნავენ საბჭოთა პროფკავშირები, მათი მრავალი კომიტეტი, ცენტრალური, რესპუბლიკური, სამხარეო, საოლქო კომიტეტებით დაწყებული და პროფკავშირთა საფაბრიკო-საქარხნო, ადგილობრივი და საამქრო კომიტეტებით და მათი მრავალრიცხოვანი აქტივით დამთავრებული.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1967 წლის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებების შესაბამისად შემოღებულია ახალი შეღავათები ცალკეული კატეგორიების მუშების, მოსამსახურეებისა და სოფლის მშრომელების საპენსიო უზრუნველყოფაში, გადიდებულია დროებითი შრომისუნარობის გამო დახმარების ოდენობა.

საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარებასთან ერთად იზრდება მუშებისა და მოსამსახურეების რიცხვი, მათი ხელფასი და შესაბამისად სოციალური დაზღვევის შენატანებიც. 1967 წელს სოციალური დაზღვევის შემოსავალი და გასავალი შეადგენდა 90,2 მილიონ მანეთს, წელს კი ეს თანხა 96 მილიონი მანეთი იქნება.

სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ძირითადი სახსრები იხარჯება დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარებისათვის, მომუშავე პენსიონერების, ომისა და შრომის ინვალიდების პენსიებისათვის, ორსულობისა და მშობიარობის გამო დახმარებისათვის. მნიშვნელოვანი სახსრები იხარჯება მშრომელთა და მათი შვილების ჯანმრთელობის განმტკიცებისა და დასვენებისათვის. წელს 70.785 მუშა, მოსამსახურე, კოლმეურნე მექანიზატორი, მოსწავლე მიიღებს სანატორიუმების, პანსიონატების, დასასვენებელი სახლების შეღავათიან ან უფასო საგზურებს საბჭოთა კავშირის, კერძოდ, ჩვენი რესპუბლიკის საუკეთესო კურორტებზე.

საქართველოს პროფკავშირები სოციალური დაზღვევის სახსრებით ინახავენ 132 პიონერთა ბანაკს, რომლებშიც ბანაკ ზაფხულს დაისვენა 7-ეზა-მოსამსახურეთა 67.300 ბავშვმა. ათასობით მოსწავლემ იმკურნალა საბავშვო სანატორიუმებში ისეთ კურორტებზე, როგორიც არის ქობულეთი, ბაკურიანი, ცემი, წაღვერი, ნუნეთი, კოჯორი, მანგლისი, კიკეთი, სახელმწიფო სოციალური დაზღვევის სახსრებს პროფკავშირები იყენებენ მასობრივი სპორტისა და ტურიზმის განვითარებისათვის, ბავშვთა შორის სკოლისგარეშე მუშაობისათვის, მუშა-მოსამსახურეთა სამკურნალო კვებისათვის.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით პროფკავშირებს 1969 წლიდან უფლება ეძლევათ თვითონ ჯანაწილონ ასიგნებანი ბიუჯეტის სხვადასხვა მუხლით, გარდა პენსიების შუხლისა. უკვე ეს დებულება მოწმობს, თუ როგორ გაიზარდა პროფკავშირთა პასუხისმგებლობა სახელმწიფო სოციალური დაზღვევისათვის. მომავალი წლის 1 იანვრიდან დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარების მისაცემად, მუშა-მოსამსახურეთა დასვენების ორგანიზაციის, ბავშვთა შორის მუშაობისათვის ასიგნებანი გამოიყოფა პროცენტობით საკუთარი შემოსავლისადმი. ამ შემოსავალს კი შეადგენს შენატანები, რომლებიც საწარმოს და დაწესებულებას შეაქვს სოციალური დაზღვევის ბიუჯეტში, თანხები, რომლებიც ადმინისტრაციის მიზეზით საწარმოო ტრავმებთან დაკავშირებით მიეცემათ დროებით შრომისუუნარო მუშაკებს, სანატორიუმებში, დასასვენებელ სახლებში, ტურისტულ ბაზებში მშრომელთა საგზურების ღირებულების ნაწილობრივ ასანაზღაურებელი თანხები და მთელი რიგი სხვა შემოსულობანი.

ყოველივე ეს მოწმობს, რომ რაც უფრო მეტია საკუთარი შემოსავალი, მით უფრო მეტი სახსრები ექნებათ პროფკავშირულ ორგანიზაციებს გამჯანსაღებელი და პროფილაქტიკური მუშობისათვის. თუ დღემდე დროებითი შრომისუუნარობის შემცირების შედეგად მიღებული ეკონომია მთლიანად ამოღებული იყო ხოლმე საწარმოს სოციალური დაზღვევის ფონდიდან, ახალი წლიდან საფაბრიკო-საქარხნო და საწარმოსა თუ დაწესებულების ადგილობრივი კომიტეტების განკარგულებაში დარჩება დროებითი შრომისუუნარობის შემცირების შედეგად დაზოგილი სახსრების 25 პროცენტი, 50 პროცენტი შევა რესპუბლიკურ კომიტეტში ან პროფკავშირთა საბჭოში, ხოლო დარჩენილი 25 პროცენტი მოხმარდება სანატორიულ-გამჯანსაღებელ დაწესებულებათა მშენებლობის საერთო-საკავშირო ღონისძიებების გასწორებისათვის. გარდა ამისა, დროებითი შრომისუუნარობის ანაზღაურებისათვის ანარიცხების თანხა გაიზრდება სოციალური დაზღვევის ფონდში შენატანებისა და სხვა შემოსულობათა ზრდის პროპორციულად. პროფკავშირული კომიტეტების ამოცანა ის არის, რომ სავსებით გამოიყენონ შენატანები, რომლებიც საწარმოებიდან და ორგანიზაციებიდან ეკუთვნით და ანაზღაურონ საწარმოო ტრავმებთან დაკავშირებული ხარჯები. პროფკავშირულმა კომიტეტებმა აუცილებლად უნდა შეასრულონ სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ბიუჯეტი როგორც შემოსავლის, ისე გასავლის ნაწილში.

პროფკავშირთა საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივმა კომიტეტებმა უნდა იბრძოლონ, რათა აღვკვეთონ საწარმოთა დაგალიანება სოციალური დაზღვევის შენატანების დარგში. პროფკავშირულმა კომიტეტებმა უნდა შეამოწმონ და თავიდან აიცილონ შეედომები სადაზღვევო შენატანების დარიცხვაში. ეს საჭიროა იმიტომ, რომ ცნობილია ბევრი შემთხვევა, როცა შენატანები არ ერიცხებოდა პრემიებს, რასაც უხდიან სათბობის, ელექტროენერგიის დაზღვევისათვის, სამშენებლო ობიექტების, საწარმოო სიმძლავრეთა ამოქმედებისათვის და სხვ. ასეთი მოვლენების დროს პროფკავშირულმა კომიტეტმა სამეურნეო მუშაკებზე ზემოქმედებისათვის უნდა გამოიყენონ ფინანსური სანქციები — გადაახდევინონ ვადაგასული გადასახდელები უდავო წესით, დაარიცხონ საურავი.

საჭიროა ავამაღლოთ სამეურნეო ორგანიზაციათა ხელმძღვანელების პასუხისმგებლობა ნაკისრ ვალდებულებათა დროულად შესრულებისა და დაზღვევის შენატანების სრული გადარიცხვისათვის, ამასთან უნდა გავითვალისწინოთ, რომ 1969 წლიდან სახსრების ხარჯვა სანატორიულ-საკურორტო მკურნალობისა და სხვა გამჯანსაღებელი ღონისძიებებისათვის, აგრეთვე დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარების გაცემა თვითეულ საწარმოში პირდაპირ დამოკიდებულია სოციალური დაზღვევის საკუთარ შემოსავალზე. ამიტომ საწარმოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, საფინანსო დარგის მუშაკებს, აგრეთვე პროფკავშირულ აქტივს უნდა შეკასაწავლოთ საკავშირო პროფსაბჭოსა და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს ინსტრუქცია სახელმწიფო სოციალური დაზღვევის სახსრების დაგეგმვის, ხარჯვისა და აღრიცხვის წესის შესახებ.

დაგეგმვის ახალი პირობები ითვალისწინებენ, რომ ასიგნობანი სანატორიულ-საკურორტო მკურნალობისათვის, დასასვენებელი სახლების, ტურისტული ბაზების, პიონერთა ბანაკების საგზურების შეძენისათვის, სამკურნალო კვებისა და სხვა გამჯანსაღებელ-პროფილაქტიკური მიზნებისათვის ყოველწლიურად გაიზრდება სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ბიუჯეტში საწარმოთა და დაწესებულებათა შენატანების ზრდის პროპორციულად. პროფკავშირულ კომიტეტს უფლება ეძლევა სოციალური დაზღვევის ხარჯების ზრდასთან ერთად გაადიდოს გამჯანსაღებელ ღონისძიებათა ხარჯები მომუშაეთა რიცხვის შეცვლის მიუხედავად.

სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ახალი დებულება თვალნათლივ გვიჩვენებს მის მზარდ როლს საწარმოთა ცხოვრებაში სამეურნეო რეფორმასთან დაკავშირებით, მის მნიშვნელობას შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის ბრძოლაში. ახლა უფრო, ვიდრე ოდესმე, სოციალური დაზღვევა დამოკიდებულია საწარმოს. კოლექტივის შრომის შედეგებზე. რეფორმა განსაკუთრებით ხელშემწყობ პირობებს ქმნის სოციალური დაზღვევის შემოსავლის სისტემატური ზრდისათვის, ეს კი თავის მხრივ საშუალებას გვაძლევს გავადიდოთ ხარჯები, რათა დავაკმაყოფილოთ მშრომელთა მოთხოვნილებანი სანატორიულ-საკურორტო მკურნალობაზე, დასვენებაზე, ტურისტულ მოგზაურობაზე, სამკურნალო კვებაზე, ბავშვებს შორის კოლასაკრეშე მუშაობაზე და სხვ. სახელმწიფო სოციალური დაზღვევის დარგში მუშაობის უნარიანი ორგანიზაციით საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივებს შეუძლიათ დიდი სახსრები მიიღონ ამ საჭიროებებისათვის. ახალი დებულების მთავარი აზრი ის არის, რომ მასში გათვალისწინებული პრინციპები გავრცელდეს მათზე, ვინც უკეთ შრომობს.

სოციალური დაზღვევის სრულყოფის პროგრამა, საბჭოთა ადამიანების ცხოვრების დონის შემდგომი ამაღლების საქმეში მისი როლის გაძლიერება ჩვენგან მოითხოვს სახსრების ეკონომიას დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარებისათვის. სამეურნეო და პროფკავშირული ხელმძღვანელები ვალდებული არიან გაანხორციელონ გამჯანსაღებელ ღონისძიებათა კომპლექსი საწარმოებსა და დაწესებულებებში. საჭიროა ფართოდ გაიშალოს შეჯიბრება წარმოების მაღალი კულტურისა და შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის. დაუყოვნებლივ უნდა განვახორციელოთ უსაფრთხობის ტექნიკისა და სამრეწველო სანიტარიის გაუმჯობესების, ხმაურის შემცირების, სამუშაო ადგილების განათების გაძლიერების, სამუშაო შენობებში ვენტილაციის გაუმჯობესების, საგარდერობების, ქალის პიგიენის ოთახების, სამედიცინო პუნქტების მოწყობის ღონისძიებანი. ამ და მთელ რიგ სხვა ღონისძიებათა განხორციელების შედეგად მნიშვნელოვნად შევამცირებთ დაავადებას.

სამეურნეო მუშაკებმა და პროფკავშირულმა კომიტეტებმა სერიოზული შრომა უნდა გასწიონ, რათა შეიმუშაონ და განახორციელონ შრომატევადი სამუშაოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ღონისძიებანი. შეურიგებლობა უნდა გამოვიჩინოთ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა მშენებლობის გაჭიანურებისადმი, ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ დროზე გადავცეთ ექსპლოატაციაში სამედიცინო დაწესებულებანი.

სულ უფრო პოპულარული ხდება წარმოების მუშაკებს შორის ფაბრიკა-ქარხნების სანატორიუმ-პროფილაქტორიუმები. მათ გაამართლეს თავიანთი დანიშნულება. არსებობს მანძილზე ეს სამკურნალო დაწესებულებანი ბევრ მუშაცა და მოსამსახურეს დაეხმარნენ ჯანმრთელობის აღდგენაში, დაავადებათა თავიდან აცილებაში. ეს, სადაც სანატორიუმ-პროფილაქტორიუმებია, მნიშვნელოვნად უფრო შემცირებულია დროებითი შრომისუუნარობა, ვიდრე იმ დაწესებულებებში, სადაც ისინი არ არის.

უკანასკნელ წლებში სანატორიუმ-პროფილაქტორიუმები გაიხსნა საქართველოს რამდენიმე საწარმოში. რესპუბლიკაში ახლა 17 სანატორიუმ-პროფილაქტორიუმია, 900 საწოლით, რომლებიც ყოველწლიურად მომსახურებას უწევენ 8.000 მუშასა და მოსამსახურეს, რაც აშკარად არ არის საკმარისი. უნდა გავაფართოოთ სანატორიუმ-პროფილაქტორიუმების ქსელი მრეწველობის ისეთი წამყვანი დარგების საწარმოებში, როგორიც არის ქიმიური, მეტალურგიული, სამთომომპოვებელი, მანქანათმშენებლო, ელექტროტექნიკური, კვების, მსუბუქი მრეწველობა. ამასთან უარი უნდა ვთქვათ 25-50-ადგილიანი სანატორიუმ-პროფილაქტორიუმების მშენებლობაზე. უნდა ვამტკიცოთ უფრო მძლავრი და უკეთ აღჭურვილი ჯანმრთელობის კერები საწარმოებში.

სოციალური დაზღვევის ხაზით მრავალფეროვან მუშაობაში თვალსაჩინო ადგილი ეკუთვნით დაზღვევაუფლებამოსილებებს. ისინი დიდ მუშაობას ეწევიან, ამსანაგურ დამარბას უწევენ ავადმყოფებსა და მათს ოჯახებს, ამოწმებენ, თუ როგორ სრულდება ექიმის რჩევა-დარიგება, აქტიურად მონაწილეობენ საწარმოთა საამქროებში და უბნებზე შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში. მაგრან სოციალურ დაზღვევის დელეგატთა უმოაყალსობა ფორმალურად ირიცხება, პრაქტიკულად კი არ ასრულებს დაკისრებულ ფუნქციებს.

გამოაცოცხლონ სოციალურ დაზღვევის დელეგატთა მუშაობა — ასეთია პროფკავშირული კომიტეტების დიდმნიშვნელოვანი ამოცანა. იგივე შეიძლება ითქვას საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტების სოციალური დაზღვევის კომისიებზე. მათ სამედიცინო დაწესებულებებთან ერთად უნდა შეიმუშაონ ღონისძიებები მუშაობისა და მოსამსახურეების სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებისათვის, დასახონ და განახორციელონ ღონისძიებები დაავადებათა პროფილაქტიკისათვის, სრული წესრიგი დაამყარონ დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარების მიცემაში, საგზურების გაცემაში.

საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივ კომიტეტებს უნდა მოვთხოვოთ, რომ შეიმუშაონ თავიანთი საწარმოს ან დაწესებულების გამჯანსაღებელი ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ დაავადებისა და შრომისუნარიანობის დროებითი დაკარგვის შემცირებას, განმტკიცონ, რომ მუშებისა და მოსამსახურეების დროებითი შრომისუუნარობის შემცირების შედეგად მიღებული სახსრების ეკონომია ხმარდება პროფილაქტიკური და გამჯანსაღებელი მუშაობის გაუმჯობესებას.

მხოლოდ საქმის უნარიანი წარმართვის შედეგად. პროფკავშირული ორგანიზაციები გახდებიან სახელმწიფო სოციალური დაზღვევის სახსრების ყაირათიანი მხარჯველები და წარმატებით გადაწყვეტენ მათთვის დაკისრებულ საპატიო ამოცანებს.

(საქდესი).

თბილისიდან გაემგზავრა ურუგვაის პარლამენტართა დელეგაცია

28 სექტემბერს თბილისიდან ლენინგრადს გაფრინდა ურუგვაის გენერალური ასამბლეის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს გენერალური ასამბლეის წარმომადგენელთა პალატის თავმჯდომარე **რინონ პერეტ ლუიზი.**

აეროდრომზე სტუმრების გასაცილებლად მოვიდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **რ. ჯაფარიძე,** რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე,** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კულტურის მუდმივი კომისიის თავმჯდომარე **ს. რიგვავა,** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარე **მ. ხაბაშვილი,** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სამანდატო კომისიის თავმჯდომარე **ბ. ბერიგალაშვილი,** თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **შ. ბუხრაშვილი,** საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი **მ. ღვინჯილია,** საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი **გ. ჯიბლაძე,** საქართველოს სსრ განათლების მინისტრი **თ. ლაშბარაშვილი,** რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი **ლ. ხაუთარელიძე,** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები **ვ. ჭიაურელი, შ. გაგოშიძე, ი. კავლაძე,** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საქმეთა მმართველი **მ. ჯიჭინაძე** და სხვა ოფიციალური პირები.(საქდესი).

საერთაშორისო ცხოვრება

ჩეხოსლოვაკიაში მდგომარეობის გამო

ჩეხოსლოვაკიიდან მიღებული ცნობების თანახმად, პოლიტიკური და ეკონომიური ვითარებისნორმალიზაციის საკითხები ჩეხოსლოვაკიის ხალხზოგადოებრივი ცხოვრების უურადღების ცენტრშია. ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობამ ამ დღეებში განიხილა პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრების ნორმალიზაციის შემდგომი წინამძღვრების შექმნასთან დაკავშირებული კონკრეტული ღონისძიებანი. ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობამ განიხილა ზოგიერთ ადგილას ფაშიზმის უღლისაგან ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლებისათვის დაღუპული საბჭოთა მეომრების ძეგლებისა და საფლავების მოსპობის ფაქტები. მთავრობამ განახორციელა ღონისძიებანი, რათა დაზიანებული ძეგლები და საფლავები აღადგინონ და წესრიგში მოიყვანონ, რომ მომავალში აღკვეთონ ასეთი მოვლენები.

ჩეხოსლოვაკიის პრესაში მოყვანილია მონაცემები, რომლებიც მოწმობენ მეშახტეების, მეტალურგების, მანქანათმშენებლებისა და ქიმიკოსების შრომითს შეცადინეობას, რომელთა მიზანია წარმატებით დაამთავრონ მიმდინარე სამეურნეო წელი. ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მრეწველობა მუშაობს მოძმე ქვეყნების ეკონომიკასთან აქტიური თანამშრომლობით და კოოპერაციით. საკმარისია ითქვას, რომ მარტო ნავთობსადენით „მეგობრობა“ ჩეხოსლოვაკიამ, მისი საექსპლოატაციოდ გადაცემის მომენტიდან, მიმდინარე წლის 1 სექტემბრისათვის მიიღო 82,8 მილიონი ტონა ნავთობი, რომელსაც იყენებენ ქიმიის, ენერგეტიკისა და ტრანსპორტის საჭიროებებისათვის.

მოსკოვში გამართული ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს აღმასკომის სესიამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ურთიერთხელსაყრელი და საჭირო საწარმოო კოოპერაციის შემდგომი გაღრმავება და სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ეკონომიური თანამშრომლობის სხვა ფორმები. ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთელ რიგ სახელმწიფო მოღვაწეთა გამოსვლებში აღნიშნულია, თუ რა ნაყოფიერია ეს თანამშრომლობა ჩეხოსლოვაკიისათვის.

ჩეხოსლოვაკიაში პოლიტიკური მდგომარეობის განვითარებისათვის დამახასიათებელია, რომ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის პარტიულ ორგანიზაციებში მუშათა კლასის რიგებში ვლინდება მისწრაფება კლასობრივი პოზიციებიდან გაერკვნენ მომხდარ ამბებში, იმის მიზეზებში, თუ რატომ შეექმნა ჩეხოსლოვაკიას კონტრრევოლუციური გადატრიალების საფრთხე საწარმოთა პარტიული ორგანიზაციები, სახალხო მილიციის რაზმები, რომლებშიც გაერთიანებული არიან მოწინავე მუშები, კანონიერად აცხადებენ, რომ რეაქციულ, მემარჯვენე ძალებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ ჩეხოსლოვაკიაში სოციალიზმის მონაპოვრებს უშუალო საფრთხე შეექმნა.

კლასობრივ, მარქსისტულ-ლენინურ საფუძველზე მიმდინარეობს ჩეხოსლოვაკიელი ხალხის ნამდვილად პატრიოტული, რევოლუციური ძალების კონსოლიდაციის პროცესი სოციალიზმის, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ხელმძღვანელი როლის განმტკიცებისათვის, საბჭოთა კავშირთან, სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ძმური ურთიერთობის განმტკიცებისათვის.

ამ პირობებში მემარჯვენე, ანტისოციალისტური ძალები, რომლებიც ცდილობენ შეინარჩუნონ თავიანთი პოზიციები, თავი აარიდონ მხილებასა და პასუხისმგებლობას ხალხის წინაშე, თავიანთ ქვაულს ფარავენ. ისინი თავისებურად, ცალმხრივ განმარტავენ ეროვნული ერთობის ლოზუნგს და აცხადებენ მას ერთობად ეგრეთ წოდებული არაკლასობრივი, აბსტრაქტად ნაციონალისტური, ანტისოციალისტური პლატფორმით.

უეჭველია, რომ ჩეხოსლოვაკიის მშრომელები ბოლომდე გაერკვევიან რეაქციის ამ მანევრებში და ისე, როგორც დაგმეს ბურჟუაზიული მემარჯვენე პარტიების ლალატი მიუნხენის დროს, 1938 წელს, ისინი ამხილებენ იმათ, ვინც შეუთანხმდა იმპერიალისტის ავრესიულ წრეებს და ამზადებდა ჩეხოსლოვაკიის ხალხის ინტერესების ახალ ლალატს.

საქდესი, 27 სექტემბერი.

სოციალისტური ქვეყნების არმიათა ჯარები ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიაზე. **სურათზე:** ქალაქ ჩესკე-ბუდეიოვიცეს ახალგაზრდა მცხოვრებნი ესაუბრებიან საბჭოთა ტანკისტებს.

ფოტო ვ. სობოლევისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა

ნიუ-იორკი, 28 სექტემბერი. (საქდესი). გუშინ გაიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 23-ე სესიის პლენარული სხდომა, რომელიც მიეძღვნა სესიის დღის წესრიგის მიღებას. სხდომამ განიხილა გენერალური კომიტეტის მოხსენება.

სხდომაზე პირველი გამოვიდა სსრ კავშირის წარმომადგენელი **ი. ა. მალიკი,** რომელმაც განაცხადა, რომ გადაჭრით წინააღმდეგია დღის წესრიგში ეგრეთ წოდებული „კორეის საკითხის“ შეტანისა. მან ხაზგასმით აღნიშნა, შეეროებული ტატები მრავალი წლის მანძილზე თავს გვახვევს უკანონოდ შექმნილი „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კორეის გაერთიანებისა და აღდგენის კომისიის“ მოხსენებათა განხილვას, რასაც სულაც არ შეეწყვიალ ხელი კორეის გაერთიანების პრობლემის გადაჭრისათვის და, წინ არ წაუწევია კორეის მიწა-წყალზე მშვიდობისა და სიმშვიდის დამყარების საქმეო.

„კორეის პრობლემის გადაჭრის ერთადერთი სწორი გზა ის გზაა, ხაზი გაუსვა საბჭოთა დელეგატმა, რომელიც დასახულია სოციალისტური და აფრიკა-აზიის მთელი რიგი ქვეყნების წინადადებებში„ ამერიკისა და უცხოეთის ყველა სხვა ჯარების გაყვანის შესახებ, რომლებსაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ალმით აქვთ ოკუპირებული სამხრეთი „კორეა“, აგრეთვე „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კორეის გაერთიანებისა და აღდგენის საკითხთა კომისიის დაშლის შესახებ“.

„გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „კორეის კომისია, განაცხადა ი. ა. მალიკმა, უკანონოდ შეიქმნა ამერიკის შეერთებული შტატების გავლენით და სახელმწიფოთა გარკვეული ჯგუფი მას ახლაც იყენებს იმისათვის, რომ შორეულ აღმოსავლეთში შეინარჩუნოს „ცივი ომის“ ატმოსფერო, გააღვივოს მტრობა და სიძულველი ხალხთა შორის, შეინარჩუნოს კორეის ნახევარკუნძულის სამხრეთში საერთაშორისო დაძაბულობის ოაში. ამ კომისიის შემდგომი არსებობა და საქმიანობა ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპებსა და მიზნებს, კორეელი ხალხის ინტერესებს.

„გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კორეის კომისიის დაშლა საჭირო და სასწრაფო საქმეა. კორეის მშვიდობიანი გაერთიანება შესაძლებელია მხოლოდ იმ გზით, რომ კორეის ხალხს მიეცეთ შესაძლებლობა თვითონვე თავისუფლად გადაწყვიტოს თავისი ბედი, რომ შეწყდეს უცხოეთის ყოველგვარი ჩარევა, მათ შორის ჩარევა, რომელიც ხორციელდება „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ალმით თუ მისი ორგანოების საშუალებით. საბჭოთა დელეგაცია იმედოვნებს, თქვა ი. ა. მალიკმა, რომ იმჯერად გენერალური ასამბლეა, ბოლოს და ბოლოს, დროულად მიიღებს სამართლიან გადაწყვეტილებას, რომ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ იმ საკითხთა განხილვაში, რომლებიც კორეას ეხება.

საბჭოთა წარმომადგენელმა კვლავ განაცხადა, საბჭოთა კავშირის დელეგაცია წინააღმდეგია ამერიკის შეერთებული შტატების იმ წინადადებისა, რომ კორეის საკითხი, რომელიც კორეას ეხება, გაერთიანეთ „ეროვნული ერთობის“ ეგრეთ წოდებულ „ეროვნულ“ ფარაზე. ისინი თავისებურად, ცალმხრივ განმარტავენ ეროვნული ერთობის ლოზუნგს და აცხადებენ მას ერთობად ეგრეთ წოდებული არაკლასობრივი, აბსტრაქტად ნაციონალისტური, ანტისოციალისტური

გმოგენ კოლონიალიზმს

ნიუ-იორკი, 28 სექტემბერი. (საქდესი). 24 ქვეყნის სპეციალურმა კომიტეტმა გუშინ კვლავ განიხილა ინდოეთის, პორტუგალიისა და დასავლეთის სხვა სახელმწიფოთა კოლონიალისტური პრაქტიკა.

20 ხმის უმრავლესობით (წინააღმდეგ იყო 3 ხმა) კომიტეტმა მიიწონა აზიისა და აფრიკის ქვეყნების ჯგუფის რეზოლუციის პროექტი, რომელიც აფრიკა-აზიის ქვეყნები პორტუგალიას აცხადებენ იმის წინააღმდეგ, რომ ინგლისი, პორტუგალია და სხვა კოლონიური სახელმწიფოები ცდილობენ დამაღონ საქმის ნამდვილი ვითარება კოლონიურ და დამოკიდებულ ტერიტორიებზე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციას არ აწვდიან ინფორმაციას ამ ტერიტორიების შესახებ. აზიისა და აფრიკის ქვეყნები აკრიტიკებენ, კერძოდ, ინგლისს იმის გამო, რომ უარს ამბობენ გააცნონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, სამხრეთ როდეზიისა და კარიბის ზღვის ზოგი კუნძულის მდგომარეობა, რომლებიც მას ეკუთვნის. მათ აგრეთვე დაგმეს პორტუგალია, რომელიც უარს ამბობს გააცნოს კომიტეტს სიტუაცია მის კოლონიებში.

ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლებმა ხმა მისცეს რეზოლუციის წინააღმდეგ.

„მწვანე ბერეტებს“ — მკაცრი პროტესტი

სიბუია, ეს არის ტოკიო, სადაც კონცენტრირებულია გართობათა ინდუსტრია. აქ კინოთეატრ „სიბუია ტოკიოში“ უჩვენეს ამერიკული ფილმი „მწვანე ბერეტები“. ეკრანზე საათნახევრის განმავლობაში უჩვენებდნენ ამერიკის სპეციალური დანიშნულების სამხედრო ნაწილებს, რომლებიც ვიეტნამში მოქმედებენ. თავიდან ბოლომდე სიცრუით გაჟღენთილი ეს ფილმი დაიდგა იმ მიზნით, რომ შეცდომაში შეეყვანათ საზოგადოებრიობა. რეჟისორის აზრით. ამერიკულმა ფილმმა უნდა დაამტკიცოს, თითქოს „მწვანე ბერეტები“ ვიეტნამში მხოლოდ იმიტომ იმყოფებიან, რათა ქალებს ჩრილობები შეუხვიონ და ობლებს დახმარება აღმოუჩინონ. ხოლო მრავალფეროვნებისათვის ისინი „მამაცურად“ იბრძვიან სამხრეთ ვიეტნამელი პარტიზანების წინააღმდეგ.

იგივ მონტანი თამაშობს თავის პირველ კომიკურ როლს რეჟისორ ფილიპ დე ბროკის ფილმში „დაიჭირეთ ეშმაკი კუდით“.

„მწვანე ბერეტებს“ — მკაცრი პროტესტი

სიბუია, ეს არის ტოკიო, სადაც კონცენტრირებულია გართობათა ინდუსტრია. აქ კინოთეატრ „სიბუია ტოკიოში“ უჩვენეს ამერიკული ფილმი „მწვანე ბერეტები“. ეკრანზე საათნახევრის განმავლობაში უჩვენებდნენ ამერიკის სპეციალური დანიშნულების სამხედრო ნაწილებს, რომლებიც ვიეტნამში მოქმედებენ. თავიდან ბოლომდე სიცრუით გაჟღენთილი ეს ფილმი დაიდგა იმ მიზნით, რომ შეცდომაში შეეყვანათ საზოგადოებრიობა. რეჟისორის აზრით. ამერიკულმა ფილმმა უნდა დაამტკიცოს, თითქოს „მწვანე ბერეტები“ ვიეტნამში მხოლოდ იმიტომ იმყოფებიან, რათა ქალებს ჩრილობები შეუხვიონ და ობლებს დახმარება აღმოუჩინონ. ხოლო მრავალფეროვნებისათვის ისინი „მამაცურად“ იბრძვიან სამხრეთ ვიეტნამელი პარტიზანების წინააღმდეგ.

„კოსმოსური საუკუნის კანტატა“

ინგლისელმა კომპოზიტორმა ალან ბუშმა დაწერა „კოსმოსური საუკუნის კანტატა“. ამას წინათ იგი პირველად შესრულდა დარტინგტონ ჰოლის საზაფხულო მუსიკალურ სკოლაში. კანტატის კულმინაციაა — სტრიქონები, მიძღვნილი კოსმოსში ადამიანის პირველი გაფრენისადმი, რომელიც განხორციელდა 1961 წლის 12 აპრილს. არსებითად კანტატა დაწერილია იური გაგარინის ხსოვნის აღსანიშნავად.

ᲓᲔ ᲒᲝᲚᲘ ᲑᲝᲜᲨᲘ ᲒᲐᲔᲛᲒᲖᲐᲕᲠᲐ

პარიზი, 27 სექტემბერი. საკდესის კორესპონდენტი ო. კარასევი გვატყობინებს:

დღეს ნაშუადღევს საფრანგეთის პრეზიდენტი დე გოლი გაემგზავრა ბონში, სადაც გაიმართ

მესხეთში, სოფელ რუსთავში

პოეზიის დღე 1968

პოეზიის დღესასწაული საქართველოში ყოველ წელიწადს აღინიშნება. ამ ლამაზ ტრადიციას განსაკუთრებით მკვიდრი საფუძველი შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის იუბილეს დაუვიწყარ დღეებში მიეცა.

დღეს, კვირას, 29 სექტემბერს, კვლავ შეიკრიბებიან ქართული ლექსის ოსტატები უძველესი მესხეთის მიწაზე, სოფელ რუსთავში, სადაც გაიმართება პოეზიის დღესასწაული.

დასაბამიდან ასე იყო... ჩვენი ლიტერატურა დროშასავით მიგვიძღოდა მუდამ წინ, ჭირსა და ლხინში გვამხნევებდა, გვაკაჟებდა, გვინერგავდა სამშობლო მიწის სიყვარულს, მოყვრის გატანასა და მტრის დათრგუნვას. დღეს ქართული პოეზია ამაყად მიაბიჯებს მსოფლიოს გზებზე. რუსთაველის, გურამიშვილის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ვაჟა-ფშაველას პოეზია ახლა ყველასათვის გასაგები, მახლობელი და ძვირფასია, რადგანაც მათი შემოქმედება ზოგადსაკაცობრიო სიმაღლემდე აიტყორცნა, საამაყოა, რომ ქართული პოეზია თანამედროვე ცხოვრების რიტმს მხარდამხარ მიჰყვება. ქართული ლექსი არის ჩვენი მეგობარი, მრჩეველი და მესაიდუმლე.

ამ ცოტა ხნის წინათ ქართულ მიწაზე ზეიმით აღინიშნა ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადების 150 წლისთავი. სიამაყით ვუსმენდით ჩვენი ლიტერატურის მეგობრებს, რომლებიც გვესტუმრნენ შორეული ამერიკიდან, საფრანგეთიდან, უნგრეთიდან, გერმანიიდან და, რასაკვირველია, საბჭოთა კავშირის მოკავშირე რესპუბლიკებიდან. მათ ჩამოიტანეს ბარათაშვილის ლექსების თარგმანები, შესრულებული სიყვარულით, შემოქმედებითი აღმაფრენით. ამით ერთხელ კიდევ საცნაური გახდა მსოფლიოსათვის ქართული პოეზიის მომხიბლაობა და სიდიადე.

დღეს მესხეთში, სოფელ რუსთავში ქართველი პოეტები სახალხო ზეიმზე — პოეზიის დღესასწაულზე წაიკითხავენ თავიანთ ახალ ნაწარმოებებს და მოწიწებით მოიგონებენ უკვდავ წინაპარს, შოთა რუსთაველს, ქართული ლექსის დიდ პატრიარქს.

ოლიმპიური კალეიდოსკოპი

◎ გუშინ მეხიკოში მოსკოვიდან გაფრინდა საბჭოთა ოლიმპიურ ნაკრების მეოთხე ჯგუფი — 100-ზე მეტი სპორტსმენი და მწვრთნელი.

შესანიშნავი წარმატება მოიპოვეს საკონტროლო შეჯიბრზე საბჭოთა მძლეოსანმა ქალებმა ესტაფეტაში 4X100 მეტრზე. მათ გაიმეორეს ჩოლონელების მიერ ტოკიოს ოლიმპიადაზე დამყარებული მსოფლიო რეკორდი — 43,6 წამი.

◎ ფლევანდელ ოლიმპიურ თამაშებზე დამკვიდრდება კიდევ ერთი საინტერესო ტრადიცია — მეხიკოში სპორტსმენთა შეჯიბრებებს გარდა ათობით ქვეყანა მიიღებს მონაწილეობას... მოკლემეტრაჟიან ფილმებზე მომუშავე კინემატოგრაფისტთა ასპარეზობაში.

მრავალფეროვანია საბჭოთა პროგრამა. მეხიკოში ჩვენი ქვეყნიდან წარგზავნილია ათი ფილმი — „საუკუნეებში შობილი მელოდია“, „ფიქრნი სტარტის წინ“, „არაჩვეულებრივი მატჩი“, „ახალგაზრდობის ზეიმი“, „ცაში მხოლოდ ქალაქშვილებია“, „მატჩი-რევანში“, „ნა-ტა-ლი“, „სპორტაციადის რიტმები“, „მოძრაობის საოცარი სამყარო“ და ქართული „ქორწილი“.

◎ აშშ. ლონგ-ბიჩში იაპონიის ქალთა და ვაჟთა ფრენბურთელ ოლიმპიელთა გუნდებმა გამართეს საკონტროლო შეხვედრები აშშ-ის ნაკრებ კოლექტივებთან. ორივე თამაში სტუმრების გამარჯვებით დამთავრდა ერთნაირი ანგარიშით — 3:0.

ოლიმპიადა — 1968

ტელეგადაცემა...

ფლვაში

შავი ზღვის სანაოსნოს ახალი სამგზავრო ლაინერი „შოთა რუსთაველი“ სოჭის ნავსადგურს უახლოვდებოდა. ეკრანის კინოდარბაზში მიღიოდა იმპროვიზებული კონცერტი — მეტროდა ტურისტული რეისის მონაწილე ქართველი მომღერალი ირმა სოხაძე. და თურმე მას ტაშს უკრავდნენ არა მარტო „შოთა რუსთაველზე“ მყოფი მგზავრები, არამედ მეორე ლაინერით — „როსიით“ მიმავალი მგზავრებიც. „როსია“ ამ დროს შორიახლო მიდიოდა პარალელური კურსით.

გამოირკვა, რომ „შოთა რუსთაველის“ ტელეცენტრს შეუძლია სატელევიზიო გადაცემების ტრანსლაცია და მათი მიღება არა მარტო ამ გემზე, არამედ მის მახლობლადაც დაახლოებით ერთი კილომეტრის რადიუსში.

„შოთა რუსთაველის“ კინოდარბაზში სისტემატურად ეწყობა კონცერტები, ლექციები, კინოსესიასები, რომელთა მოსმენა და ნახვა შეუძლია არა მარტო დარბაზში მყოფ 120 კაცს, არამედ სხვა მგზავრებსაც და ეკიპაჟის წევრებსაც, რომელთა განკარგულებაშია თხუთმეტამდე ცისფერი ეკრანი. ახლა კი თურმე ამ ტელეცენტრით შეუძლიათ ისარგებლონ სხვა გემების მგზავრებმა, თუ გემები ახალი ლაინერის შორიახლო არიან.

ი. ლიანდრესი.

ოდესა.

მილიციელის „მეორე ამკლუა“

ბაკოელ მილიციელს ყურბან მაზანოვს იღებენ ლენინდ გიდიის კინოკომედიაში „ბრილიანტის ხელი“. გუშაგი რეგულატორი ასრულებს ერთ-ერთ „საზღვარგარეთის“ ქვეყნის პოლიციელის როლს. რეჟისორი ალაყოფილია მსახიობით, რომელსაც ბაქოში თვლიან თავისი საქმის ოსტატად. თუმცა, ეს უკვე პირველი სურათი როდია, რომელშიც მონაწილეობს რეგულატორი მაზანოვი. მისი ხელოვნება — სხვანაირად ძნელი კი შეიძლება უწოდო მის მუშაობას პოსტზე, არაჩვეულებრივ გადაუღიათ კინოჭრონიკორებსა და მოყვარულებს — ბაქოელებს და ტურისტებს. ფილარმონიასთან, სადაც ზმაურიან გზაჯვარედინზე ქუჩის მოძრაობას „დირიჟორობს“ მაზანოვი, მას მოდამ თვალყურს ადევნებს მრავალი მაყურებელი. მათ შორის რამდენჯერმე ყოფილა არაკადი რაიკინეც, რომელმაც, როგორც იგი შემდეგ აღიარებდა, ვერაფერით ვერ შეძლო „გიმეორებინა ვირტუოზი რეგულატორის მოძრაობა.

ლ. გოლდშტეინი.

ბაკო.

„ქთვაარის ეოტპაცება“

გასული თეატრალური სეზონის ბოლოს თბილისის კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სცენაზე დაიდგა გამოჩენილი ქართველი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას „**მთვარის მოტაცება**“, რომლის ინსცენირება რესპუბლიკის სახალხო არტისტს გ. კოსტავას ეკუთვნის. რეჟისორია ახალგაზრდა შემოქმედი ლ. მირცხულავა. წარმოდგენა მხატვრულად გაფორმა ა. კაკაბაძემ, კომპოზიტორია ო. თაქთაქიშვილი.

ამ დღეებში ხელოვნების მუშაკთა სახლში შეიკრიბნენ მწერლები, მსახიობები, რეჟისორები, ჟურნალისტები, ყველა ისინი, ვინაც აღელვებს ქართული თეატრის წარმატებები და ყურადღებით უსმენს მის მაჯისცემას.

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლის „მთვარის მოტაცების“ განხილვამ შემოქმედებითი კამათისა და ჯანსაღი სჯა-ბაასის ვითარებაში ჩაირა, წამოიკრა ქართული თეატრის მომავლის ბევრი პრინციპული საკითხი.

დისუტი გახსნა საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ **დ. ანთაძემ.** მომხსენებელმა — პროფესორმა **დ. ჯანელიძემ** ვრცლად ილაპარაკა სპექტაკლ „მთვარის მოტაცების“ არგელივ. რეჟისორის მიერ ინსცენირების ახლებურმა და საინტერესო გადაწყვეტამ სპექტაკლს მისცა მასშტაბურობა, რომანტიკული მოხიბლაობა. სადადგმო ჩანაფიქრის, მახვილგონიერი მიზანსცენების, აქტიორული შესრულების მხატვრული დონე მოწონების ღირსია.

მაყურებელთა სახელით თავისი შთაბეჭდილებები დაშაურეთ გაუზიარა პედაგოგმა **ბ. მჭედლიძემ.** მან ყურადღება გაამახვილა სამსახიობო მეტყველების შემდგომი სრულყოფის აუცილებლობაზე. „ყამთში მონაწილეობა მიიღეს დრამატურგმა **ვ. პატარაიამ,** მუსიკათმცოდნე **ა. წულუკიძემ,** რესპუბლიკის სახალხო არტისტმა **მ. დავითაშვილმა,** თეატრმცოდნე **ნ. გურაბანიძემ.**

დამსწრე საზოგადოება სიყვარულით მიესალმა **კონსტანტინე გამსახურდიას.** რომელმაც კმაყოფილებით აღნიშნა, რომ მისი ნაწარმოები თეატრის კოლექტივმა ნიჭიერად და შთაგონებით წარმოადგინა. მაღალი შეფასება მისცა სპექტაკლის მონაწილე ბევრ მსახიობს, რომლებმაც სცენაზე გააცოცხლეს მისი რომანის გმირები.

ნ. ჯაფარიძე.

ნაირ-ნაირი

სიკვდილი დაამარცხეს

შემთხვევა მინდვრად

თელავი. (საკ. კორ.). საკოლმეურნეო მინდორში შრომობდა კონდოლელი ოთარ სამურაშვილი. ნელი ბალახით დატვირთულ ურემზე მას ფეხი აუცდა და წვერწამახულ ჭალზე დაეგო. უკაცრიელ მინდორში მომაკვდავი მხოლოდ ერთგულმა ცხენმა გადაარჩინა. მან, ურემი, სიკვდილთან მებრძოლი პატრონით „ნადარბაზლების“ სამყეფო უბნამდე მიიყვანა. აქედან კი მწველელებმა სასწრაფო დახმარება იხმეს...

მრავალი სიცოცხლე გადაურჩენიათ რაიონის მთავარ ქირურგს ა. ბეიტრიშვილსა და ქირურგ ჯ. გორგოძეს, მაგრამ ამჯერად საქმე ეხებოდა არა მომაკვდავს, არამედ თითქმის უკვე „გარდაცვლილი“ ადამიანის „გაცოცხლებას“. და ეს მათ შეძლეს. ორგან დაზიანებული კუჭის, შეგლეჯილი დიაფრაგმისა და გასეთქილი ელენთის რთულ ოპერაციას ექიმებმა ორი საათი მოანდომეს. სიკვდილმა უკან დაიხია. ოთარი ახლა თავს კარგად გრძნობს.

მამაცი მონადირე

ლენტეხი. (საქდისი). სოფელ ნაცულში მცხოვრებმა მოსე ბაკურაძემ ცოცხლად შეიპყრო მგლის 8 ლეკვი. ამას წინათ კი დათვი მოკლა, რომელიც 250 კილოგრამს იწონდა.

ამუამად ახალგაზრდა მონადირის ანგარიშზეა 35 დათვი, 50-ზე მეტი მგელი, 2 ფოცხვერი, შრავალი ათეული მელა, კვერნა და სხვა მტაცებელი ნადირი.

სოფლის მუზეუმის მოკამკაგენი

მახარაძე. გასულ წელს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავთან დაკავშირებით სოფელ ბაილეთში სახოგადოებრივ საწყისებზე გაიხსნა ისტორიულ-ლიტერატურული მუზეუმი.

მის ექსპონატებს ამდიდრებენ სოფლიდან წასულ ადამიანთა საჩუქრები. ცნობილმა მწერალმა, აწ განსვენებულმა ლიდია მეგრელიძემ მუზეუმს უსახსოვრა ძვირფასი ლიტერატურული გამოცემები, მოგონებები, ფოტოსურათები და სხვა მასალები.

ასეთივე ძვირფასი ექსპონატები გამოუგზავნეს მუზეუმს რესპუბლიკის დამსახურებულმა მასწავლებელმა ევსევი ნაკაშიძემ, დოცენტებმა გ. ზაქარიაძემ, ი. სახარულიძემ, ვ. ართილაუვამ, პედაგოგებმა ქეთევან თავზარაშვილმა, ე. ზაქარიაძემ, ძველმა რევოლუციონერმა, სკკპ წევრმა 1917 წლიდან შ. დობორჯგინიძემ, თადარიგის პოლკოვნიკმა, მოსკოვის დაცვის მონაწილემ ა. ნაკაშიძემ, მახარაძის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის უოფილმა მეცნიერმა მუშაკმა პენსიონერმა მ. თადუმაძემ და სხვებმა.

მუზეუმში საპატიო ადგილი აქვს დათმობილი უკრაინის სსრ გენიჩესკის რაიონის კოლმეურნეობა „საქართველოს“ ექსპონატებს. გენიჩესკელებთან ბაილეთის „უკრაინის“ სახელობის კოლმეურნეობა 1954 წლიდან ტრადიციულად აგრძელებს სოციალისტურ შეჯიბრებას.

შ. ზაქარიაძე.

როველი წიგნი მოგიტანოთ?

ამბროლაური. (საკ. კორ.). მთა სოფელ ლიხეთში ბევრი საუკუნეს მიღწეული მოხუცი და ომის ინვალიდი ცხოვრობს. ზოგიერთი მათგანი გატაცებით კითხულობს მხატვრულ ლიტერატურას, ახალ ჟურნალებსა და გაზეთებს, მაგრამ მათ არ ძალუძთ რეგულარულად იარონ სოფლის ბიბლიოთეკაში, ისარგებლონ მისი წიგნის ფონდით.

და აი მათ კეთილ სამსახურს უწევენ წიგნისდამტარებლები. ყველაზე მეტად დაიმსახურა ინვალიდთა მადლობა ორმა მოსწავლემ — როზა მეტრეველმა და ნატო კოთელაძემ. კვირა არ გავა, რომ ამ გოგონებმა მოხუცებს არ მოაკითხონ. „ბაბუა, ეს წიგნი მეტად საინტერესოა, გთხოვთ წაიკითხოთ“. „ბებიკო, რომელი წიგნი მოგიტანოთ ბიბლიოთეკიდან“ — ხშირად მიმართავენ ისინი სოფლის ხანდაზმულებს.

ბ. ჯ. გერსამია

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ონკოლოგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის პათომორფოლოგიური განყოფილების ხელმძღვანელმა, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა **გულნარა კლიმენტის ასულმა გერსამიამ** თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ხარისხებს მამინჯებელი საბჭოს სხდომაზე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: **„დასხივებული სარძევე ჯირკვლის სიმსივნის სტრუქტურა და მასალები სხივიური ზემოქმედების მექანიზმისათვის“.**

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა სატესტაციო კომისიამ დაამტკიცა **გ. ჯ. გერსამიასათვის** მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭება.

ნელს ბარაქიანი რთველი აქვთ კახეთში. უკვე გაჩაღდა ყურძნის კრეფა. ველოსიპედისტები ყურძნის უხვ მოსავალს ეღებენ. მათი პირობაა სახელმწიფოს მიჰყიდონ 3.500 ტონა ყურძენი, ნაცვლად 3.300 ტონისა. ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა ვ. ეუშიტაშვილმა ამ სურათზე ალბეჭდა ყურძნის კრეფა ველოსიპედისტების კოლმეურნეობის (გურჯაანის რაიონი) მესამე ბრიგადის ზვრებში. მარჯვნიდან მარცხნივ თქვენ ხედავთ მევენახე ჯ. სარიშვილს, მ. გელაშვილს, ბრიგადირ ა. ფოფიაშვილს და მ. მელქაძეს, ისინი კმაყოფილნი არიან ყურძნის ბარაქითა და ხარისხით.

ლატვიის პრიზი ქართველ ცხენოსნებს

ალმა-ატაში მიმდინარეობს სოფლის სპორტსმენთა ხაკავშირო ტურნირი ცხენოსნობაში. განსაკუთრებით საინტერესო გამოდგა კონკურსიტთა ასპარეზობა. 87 მხედარი მონაწილეობდა წინაღობებით სავსე ტრასის შტურმში. ამ სახეობაში გათამაშდა ლატვიის სსრ პრიზი. იგი მოიპოვეს ჩვენი რესპუბლიკის სპორტული საზოგადოების „კოლმეურნის“ სპორტსმენებმა (მწვრთნელი რ. კორძაია).

ფეხბურთი

ნაკრები ემზადება

2 ოქტომბერს ოდესაში ჩვენი ქვეყნის ნაკრები ახალი მწვრთნელის **გ. კაჩალინის** ხელმძღვანელობით გამართავს პირველ სავარჯიშო მატჩს. ადგილობრივ „ჩერნომორეცთან“. ნაკრებში თბილისის „დინამოდან“ მოწვეული არიან სპორტის დამსახურებული ოსტატი **ხ. მეტრეველი, მ. ხურცილავა** და **რ. ძოძუაშვილი.**

სსრ კავშირის მეორე ნაკრებში ითამაშებს **გ. გავაშელი.**

გათამაშების ცხრილი

„ა“ კლასის პირველი ჯგუფი

მდგომარეობა 29 სექტემბრისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (კ.).	30	18	10	2	48-19	46
„სპარტაკი“	29	17	6	6	48-31	40
„ბორაჟედო“ (მ.)	29	14	10	5	45-23	38
ცსკა	30	14	9	7	37-26	37
„დინამო“ (თბ.)	30	13	10	7	37-18	36
„დინამო“ (მნ.)	28	13	9	6	31-21	35
„დინამო“ (მ.)	30	13	8	9	42-29	34
„ჩერნომორეცი“	29	10	12	7	40-35	32
„ლოკომოტივი“	29	10	11	8	28-28	31
„ზენიტი“	30	8	13	9	28-39	29
ხკა	30	9	10	11	36-38	28
„ზარია“	31	9	10	12	19-33	28
„შახტიორი“	30	8	11	11	29-31	27
„კრ. სოვეტოვი“	30	8	9	13	19-27	25
„ნეფტჩი“	29	8	8	13	29-40	24
„არარატი“	30	9	6	15	27-38	24
„ტორპედო“ (ქ.)	31	7	8	16	25-38	22
„ყარატი“	30	6	8	16	18-35	20
„დინამო“ (ყირ.).	29	5	9	15	18-32	19
„პახტაკორი“	30	6	7	17	29-52	19

დღეს და ხვალ ერთმანეთს ხვდებიან: „ლოკომოტივი“ — ნეფტჩი“, „სპარტაკი“ — კიროვაბადის „დინამო“.

კისლოვოდსკის საერთაშორისო

კისლოვოდსკში დასასრულს უახლოვდება საერთაშორისო ტურნირი ჰანდიკაპში. გასათამაშებელი დარჩა მხოლოდ ერთი ტური, თუმცა ზოგიერთმა მოჭადრაკემ უკვე დაამთავრა ასპარეზობა. მათ შორის — საქართველოს ჩემპიონმა, ოსტატმა **ბ. გურგენიძემ,** რომელმაც 14 შესაძლებლიდან 9 ქულა მოაგროვა და ჯერჯერობით მეორე ადგილზეა.

ლიდერია გროსმაისტერი **ე. გელერი.** მას 9,5 ქულა აქვს 13 შესაძლებლიდან. გროსმაისტერი **ე. ვასიუკოვი** 12 შესაძლებლიდან (ერთი დაუთამაშებელი პარტია) 8 ქულით მესამე ადგილზეა, რუმინელი საერთაშორისო ოსტატი **ვ. ჩოკილტია** — მეოთხეზე (7,5 14 პარტიიდან). გროსმაისტერებს **დ. ბრონშტეინს, ე. გუფელდსა** და **ლ. შამკოვიჩს** 12 შესაძლებლიდან 6,5 ქულით უფრო მოკრძალებული ადგილები უჭირავთ.

ტელევიზია

● კვირა, 29 სექტემბერი

10.20 — გადაცემათა პროგრამა, 10.30 — პროგრამა ბავშვებისათვის: 1. „მაღვიძარა“. (გადმოცემა ვილნიუსიდან), 2. მხატვრული ფილმი „მეყვარდიო“., 12.25 — კინოპროგრამა. 12.50 „ჩვენი სტუმრები“, 13.00 — კინოჟურნალი „ახალი ამბები“, 13.15 — „გააკეთე ჩვენთან ერთად. ჩვენსავით, ჩვენზე უკეთ“ (გადმოცემა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან), 14.00 — „ჩვენი სამშობლოს წმიდა ადგილები“ (გადმოცემა ვოლგოგრადიდან), 14.30 — სატელევიზიო მრავალსერიანი დოკუმენტური ფილმი „ნახევარი საუკუნის მატიანე“ — 1918 წელი (ქართულ ენაზე), 15.25 — კინოაფიშა, 16.00 — „მუსიკალური კიოსკი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.30 — გადაცემა „მანქანათმშენებლის დღე“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.00— გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.30 — მოსკოვიდან ბავშვებისათვის „ზღაპარი ჭიანჭველაზე“, 17.55 — გადაცემა „დიდი მომავლის თანამედროვენი“, 18.55 — „ოქროპირი“ — სატირულ-იუმორისტული სატელევიზიო ჟურნალი, 19.40 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 19.50 — პროგრამა მეორე დღისათვის, 19.55 ლიტერატურული გადაცემა „ფარდის ახდის წინ“, 20.55 — გერმანული მხატვრული ფილმი „პენსიონი „ბულანკა“, 22.30 — საკვირაო გასართობი პროგრამა.

ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა. (მეცხრე არხით) დასაწყისი 10 საათიდან.

● ორშაბათი, 30 სექტემბერი

11.00 — გადაცემათა პროგრამა. 11.05 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — ბავშვებისათვის „ითამაშეთ ჩვენთან ერთად“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — მხატვრული თვითმოქმედების კონცერტი (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.30 — მხატვრული ფილმი „კიბე ცაში“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.15 — განცხადებები და რეკლამა, 18.25 — გადაცემა ბავშვებისათვის „კომპოზიტორი ალექსი ფარცხალაძე“ (დაბადების 70 წლისთავის გამო), 19.15 — კინონარკვევი, 19.25 — „ახალი სასწავლო წელი პარტიული განათლების ქსელში“, 19.45 — კინონარკვევი, 19.55 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.20 პროგრამა მეორე დღისათვის, 20.25— „ტელეპანორამა“, 21.00 —კამერული მუსიკის კონცერტი. 21.30 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.15 — ბულგარული მხატვრული ფილმი „გადახარა“ (16 წლის ასაკამდე ბავშვებისათვის ამ ფილმის ნახვა მიზანშეწონილი არ არის).

ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა (მეცხრე არხით) დასაწყისი 11 საათიდან.

● სამშაბათი, 1 ოქტომბერი

11.00 — გადაცემათა პროგრამა, 11.05 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — ბავშვებისათვის — „ხუთ მილიონთა კონკურსი“ (გადმოცემა პოლონეთიდან), 12.15 — „შენთვის ახალგაზრდობავ!“ (გადმოცემა ლენინგრადიდან), 13.15 — „ახალი სასწავლო წელი პარტიული განათლების ქსელში“. სტუდიაში — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ბ. ა. როდიონოვი (30 სექტემბრის გადაცემის გამეორება), 13.35 — მხატვრული ფილმი „ოქტომბერი“, 18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05— ახალი ამბები, 18.10 — განცხადებები, 18.15 — კინონარკვევი, 18.25 — ბავშვებისათვის „იყო და არა იყო რა“, 18.35 — კინონარკვევი, 19.00 — გადაცემა „ქართული მუსიკის მოამაგე“ — ა. მიზანდარი, 19.30— „ახალი სასწავლო წლის წინ პარტიული განათლების ქსელში“ — „ლენინის თეორიული მემკვიდრეობა — მასებს“, 20.00 კინონარკვევი, 20.20 — სპორტული პროგრამა „ოლიმპიური თამაშები“, 21.00 — ახალგაზრდობის მეორე საერთაშორისო საესტრადო სიმღერების ფესტივალი (გადმოცემა სოჭიდან), 23.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 23.30 — „ეკონომიკა“ — „ზუგდიდის თეატრი ასი წლისაა“, 19.55 — პროგრამა მეორე დღისათვის, 20.00 — ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამოს ტრანსლაცია კავშირების სახლის სვეტებიანი დარბაზიდან (გადმოცემა მოსკოვიდან), 23.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა.

ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა (მეცხრე არხით) დასაწყისი 10 საათიდან.

● ოთხშაბათი, 2 ოქტომბერი

10.35 —გადაცემათა პროგრამა, 11.00 — „ცვლას ცვლა მოსდევს“. საკავშირო სატელევიზიო პიონერული ხაზი (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.40 — ლევ ტოლსტოი. „მემამულის დილა“. სატელევიზიო სპექტაკლი (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — კინონარკვევი, 18.30 — ბავშვებისათვის. „მოთხრობები ლენინურ კომკავშირზე“, 19.50 — საუბარი „მიწა ხალხის სიმდიდრეა“, 20.10 — კინონარკვევი, 20.30 — „კვლავ მშობლიურ თეატრში“ —უკრაინის დამსახურებული არტისტი ლამარა ჭყონია, 21.00 — ახალგაზრდობის მეორე საერთაშორისო საესტრადო სიმღერების ფესტივალი (გადმოცემა სოჭიდან), 23.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა.

ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა (მეცხრე არხით) დასაწყისი 10 საათიდან.

● ხუთშაბათი, 3 ოქტომბერი

11.00 — გადაცემათა პროგრამა, 11.05 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — ყაზახეთის ტელევიზიის პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.15 — ბულგარული მხატვრული ფილმი „გადახარა“ (16 წლის ასაკამდე ბავშვებისათვის ამ ფილმის ნახვა მიზანშეწონილი არ არის), 18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — განცხადებები, 18.15 — ბავშვებისათვის მხატვრული ფილმი „დაგვიანებული სიწანული“, 19.35 — ციკლიდან „გავეცნოთ მსოფლიოს ხალხებს“ — ტასმანიელები, 19.45— კონცერტი, 20.15 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.40 — პროგრამა მეორე დღისათვის, 20.45 — კინონარკვევი, 21.00 — გადაცემა „მსოფლიო ხელოვნების საგანძური“, 21.30 — ახალგაზრდობის მეორე საერთაშორისო საესტრადო სიმღერების ფესტივალის დახურვა (გადმოცემა სოჭიდან), 24.00 — „მხოლოდ ფაქტები“ (გადმოცემა მოსკოვიდან).

ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა (მეცხრე არხით) დასაწყისი 11 საათიდან.

● პარასკევი, 4 ოქტომბერი

11.00 — გადაცემათა პროგრამა, 11.05 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — ბავშვებისათვის. „ბუნების საოცრებანი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — მხატვრული ფილმი „ლალატი“, 18.00— გადაცემათა პროგრამა, 18.05—ახალი ამბები, 18.10 — განცხადებები, 18.15 — ბავშვებისათვის. „ცისარტყელა“, 18.40 — სპორტული პროგრამა. გადაცემა „სტუმრად ლოკომოტიველებთან“, 19.10 — „ზუგდიდის თეატრი ასი წლისაა“, 19.55 — პროგრამა მეორე დღისათვის, 20.00 — ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამოს ტრანსლაცია კავშირების სახლის სვეტებიანი დარბაზიდან (გადმოცემა მოსკოვიდან), 23.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა.

ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა (მეცხრე არხით) დასაწყისი 11 საათიდან.

რადიო

30 სექტემბერი

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — ქართული ხალხური სიმღერები, 06.50 — „სოფლის დილა“, 07.30 — „ახალი პანგები, 08.10 — სოციალისტური ქვეყნების ხალხთა სიმღერები, 09.25 — „რესპუბლიკის შრომის რიტმი“. უზბეკეთის რადიოს რეპორტაჟები (მოსკოვი), 09.45 — უზბეკური მელოდიები (მოსკოვი), 11.00 — უკანასკნელი ცნობები, 11.15 — ს. პროკოფიევი. კანტატა „ალექსანდრე ნეველი“, 12.30 — საუბარი „შრომის მეცნიერული ორგანიზაცია მმეგობლობაში“, 12.45 — კორელი. სონატა ვიოლონჩელისა და ფორტეპიანოსათვის, 13.30 — „გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატია, 13.40 — სიმღერები სამშობლოზე, მოსკოვზე, 14.00 — ნარკვევი „პირველი ეშელონი“. უზბეკეთის რადიოს გადაცემა (მოსკოვიდან), 14.20 — „ზღაპარი აქ იწყება“. მუსიკალური ნარკვევი (მოსკოვი). 15.30 — „ისტორიის კვალი“. დოკუმენტური რადიოკომპოზიცია (მოსკოვი), 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — მოსწავლეთათვის „თეთრად ფრიალებს აფრა ეული“. რადიოდადგმა, 18.00 — უკანასკნელი ცნობები, 18.10 — ქართული ხალხური სიმღერები, 18.30 — რესპუბლიკური ცნობები რუსულ ენაზე, 18.45 — სკრიაბინი. სონატა — ფანტაზია ფორტეპიანოსათვის, 19.00 — რადიონარკვევი „პარტიული პროპაგანდისტი“, 19.15 — მღერის გ. ჩოხელი, 19.30 — უკანასკნელი ცნობები, 19.45 — სკორიკი. სიუიტა სიმებიანი ორკესტრისათვის, 20.20 — ჩვენი კომენტარი (მოსკოვი), 20.30 — ო. თაქთაქიშვილი. ნაწყვეტები ოპერიდან „მინდია“, 21.00 — „ძილისპირული“, 21.10 — რ. ხაკიმოვი. „ათი სადღეგრძელო და ათივე საქართველოსათვის“. ნარკვევი, 21.30 — საერთაშორისო დღიური (მოსკოვი), 22.00 — კონცერტი ვ. ჩაიკოვსკის ნაწარმოებებიდან, 22.30 — უკანასკნელი ცნობები, 23.30 — მუსიკა ქართული კინოფილმებიდან, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

ტელევიზია

● კვირა, 29 სექტემბერი

10.20 — გადაცემათა პროგრამა, 10.30 — პროგრამა ბავშვებისათვის: 1. „მაღვიძარა“. (გადმოცემა ვილნიუსიდან), 2. მხატვრული ფილმი „მეყვარდიო“., 12.25 — კინოპროგრამა. 12.50 „ჩვენი სტუმრები“, 13.00 — კინოჟურნალი „ახალი ამბები“, 13.15 — „გააკეთე ჩვენთან ერთად. ჩვენსავით, ჩვენზე უკეთ“ (გადმოცემა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან), 14.00 — „ჩვენი სამშობლოს წმიდა ადგილები“ (გადმოცემა ვოლგოგრადიდან), 14.30 — სატელევიზიო მრავალსერიანი დოკუმენტური ფილმი „ნახევარი საუკუნის მატიანე“ — 1918 წელი (ქართულ ენაზე), 15.25 — კინოაფიშა, 16.00 — „მუსიკალური კიოსკი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.30 — გადაცემა „მანქანათმშენებლის დღე“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.00— გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.30 — მოსკოვიდან ბავშვებისათვის „ზღაპარი ჭიანჭველაზე“, 17.55 — გადაცემა „დიდი მომავლის თანამედროვენი“, 18.55 — „ოქროპირი“ — სატირულ-იუმორისტული სატელევიზიო ჟურნალი, 19.40 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 19.50 — პროგრამა მეორე დღისათვის, 19.55 ლიტერატურული გადაცემა „ფარდის ახდის წინ“, 20.55 — გერმანული მხატვრული ფილმი „პენსიონი „ბულანკა“, 22.30 — საკვირაო გასართობი პროგრამა.

**ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა.